


სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 7. თებერვალი 14. 1893 წ. № 7.

**შინაარსი** — ბუხარის ემირი.—საუბარი, აკაკისა.—ოცნებით გატაცებულს, ლექსი მცხეთელისა.—სწორიდან-სწორამდე.—ყარიბი, აკაკისა.—ნიკოლოოზ ბარათაშვილის წერილები.—ბათუმის მხარე, გ. წერეთლისა.—ბედი ჩვენის ბავშვებისა, წყალტუბელისა.—სიყვარულს, ლექსი დუტუ მეგრელისა.—ვარძია.—საუცარი მგზავსება, ხუმარასი.—მარიამ (ლეგენდა) ბარბარე ჯორჯაძისა.—ყეენობის ორშაბათი (ქალაქის სცენა) ანჩისხატისუბნელისა.—მოსწრებული სიტყვა.

4783

## ბუხარის ემირი

სეიდ-აბდულ-აზატ, ემირი ბუხარისა შესანიშნავი კაცია. მისი სამშობლო არის ძლიერ ძველი კუთხე ქვეყნისა, ნაწილი ძველის ბაქტრიისა, რომელზედაც ჰეროდოტი მოგვითხრობს მეხუთე საუკუნეში ქრისტემდის. ამ ნაწილს ბაქტრიისას ეწოდებოდა სოგდიანა, რომაელებისა და ბერძნების ისტორიკოსების ცნობით. საქართველოს ძველი მწერლები უწოდებენ ამ ქვეყანას სოხოისტანად. რამდენად დაახლოვებული ყოფილა ეს ქვეყანა აღებ-მიცემობით და ვაჭრობით ჩვენ საქართველოსთან, მეხუთე და მეექვსე საუკუნიდან დაწყებული, დავით აღმაშენებლისა და თამარის დრომდის, ამას გვიმტკიცებს თვით მაშინდელი ქართველი მწერლების ნაწარმოები: სარგის თმოგველისა, მოსე ხონელისა; აგრეთვე „ვისრამიანი“, „დარეჯანიანი“, „ყარამანიანი“ დ „დილარიანი“. ამ თხზულებებში ხშირად შეხვდებით სოხოისტანის



ბუხარის ემირი

ქვეყნის ხსენებას, იმ ხალხის განათლებას, სიმდიდრეს ᲓᲐ დიდებულ ცხოვრებას. ეს ისეთი დრო იყო, როდესაც სოხოისტანსა ᲓᲐ საქართველოს შორის დიდი ვაჭრული ალებ-მიცემობა არსებობდა ᲓᲐ იმათი განათლება ქართველებში მოწონებული იყო. სო'ოისტანი, როგორც შუაგული წერტილი ინდოეთსა და ჩვენში, დამაკავშირებელი იყო ჩვენისა და საბერძნეთ-ინდოეთის ვაჭრობისა. თვით სავაჭრო გზა ინდოეთიდან საბერძნეთისა და ხმელთა შუა ქვეყნებისაკენ მიმართული, გადიოდა მტკვარზედ და რიონზედ. ამას მოწმობს სტრაბონის აწერილობა ჩვენი ქვეყნისა პირველ საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. ამისთანა უმაღლეს განათლების წერტილამდის მისული ქვეყანა ჯერ მაჰმადიანობამ დასცა და შემდეგ მონგოლების შემოსევამ, როგორც საქართველო, ისე სოხოისტანი სრულიად დაამხო. მაგრამ საქართველომ მაინც გაუძლო ამ ჭირს, სოხოისტანის განათლებული ხალხი კი შეიქნა მაჰმადიანი და რაც რამ ძველი განათლებისა ჰქონდათ, სულ ერთიანად მოსპო იქ მაჰმადიანობამ. ასე გასინჯეთ, თვით ძველი ისტორიული სახელი ამ ქვეყნისა შესცვალა და შეუთვისა ახალი სახელი-ბუხარა.

ეს ქვეყანა მდებარებს იმ დიდ აზიის ქედს გადმოღმა, რომელსაც მეცნიერები უწოდებენ გინდუკუშად. ამ ქვეყანას ერთი მხრით საზღვრავს ჩინეთი, მეორე მხრით პამირი, მესამე მხრით ავღანისტანი და ჩრდილო—დაასვლეთით რუსეთი.

1868 წელს, როდესაც რუსეთმა დაიპყრო თურქესტანი, ერთს ბრძოლაში რუსეთის ჯარმა ბუხარელებიც დაამარცხა და კიდეც შეესია ამ ქვეყანას; მაგრამ ინგლისი გაერია დიპლომატურად ამ საქმეში და ბუხარის მაშინდელს მმართველს მოზაფარ-ედდინს, მამას სეიდ-აბდულ-ახატისას, ზურგი გაუმაგრა. ამ მიზეზის გამო რუსეთი მოერიდა ცალკე ჩინეთის სახელმწიფოს წყენას, რომელმაც აგრეთვე ითაკილა ბუხარაში შესევა რუსის ჯარისა, ცალკე ინგლისისას და ცალკე ავღანისტანისას. ამის გამო რუსეთმა უფრო ჭკუიანს ხერხს მიჰყო ხელი და დამარცხებულის მოზაფარ-ედდინის გული მოიგო პატივისცემით და მეგობრული ურთი-ერთობის გამართვით, რომ იგი არ მიკედლებოდა ინგლისელებსა. ამ სახით რასაც ბრძოლით ვერ მისწვდა, იგი მეგობრობით მოიგო. ეს მეგობრული გავლენა რუსეთისა იმდენზედ მივიდა, რომ მოზაფარ-ედდინმა თავისი მემკვიდრე სეიდ-აბდულ-ახატი გაგზავნა მოსკოვს ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზედ დასასწრებად. ეს ახალგაზდა ემირის შვილი მოსკოვისა და პეტერბურგის განათლებამ განაცვიფრა და ხელმწიფის კარგად მოქცევამ აღტაცებაში მოიყვანა. იმან მაშინვე გულში ჩაიდვა, რომ თავის ქვეყანაში ევროპული განათლება შემოეღო და რუსეთის მეგობრული დამოკიდებულებით ესარგებლნა თავის ქვეყნის საკეთილ.

როცა 1885 წელს მამა მოუკვდა, იმან მაშინვე დაიწყო ევროპულის განათლების გადმოღება; გააუქმა მონაობა, შემდეგ ტყვეებისათვის მიწის საკნები მოშალა ᲓᲐ წვალებით დასჯა დამნაშავეთა გადააგდო. ამ ბოლოს დროს იმან გამართა საერო საავადმყოფო გაჭირვებულთა და უძლურთათვის. იგი შეუდგა გზების გაუმჯობესობასა, ნება მისცა რუსეთს რკინის გზა მის სატახტო ქალაქში გაეტარებინა, შეამცირა შემოტანილი საქონლის ბაჟი და მიაქცია ყურადღება ევროპულს წესზედ ჯარის გაწყობას. ახლა, მეორედ რუსეთში მგზავრობის დროს, თავის შვილი წაიყვანა პეტერბურგს და იქ, პაჟის კორპუსში, შეიყვანა აღსაზრდელად. ბუხარის ემირის სეიდ-აბდულ-ახატის ჭკუა იმაში იხატება, რომ იგი ამასთანავე არ ივიწყებს თავის ქვეყნის თავისუფლებას და ძალიან კარგად სარგებლობს მითი, რომ დიდი სახელმწიფოები მოსაზღვრედა ჰყავს და იმათ შორის მოქმედობს, არც წვადი უნდა დასწვეს, არც შამფური.

სეიდ-აბდულ-ახატი შესახედავად ძალიან ლამაზი კაცია, კარგი ტანადი და მოსული. ტფილისის ქალაქში ყოფნის დროს იმან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა თავის ჭკუიანი ყოფა-ქცევით და დარბაისლობით.

საქართველოს მატიანეში ბუხარის მცხოვრებნი იწოდებიან თაჯებად. სპარსეთის მეფე ისმაილ-შიხი, რომელმაც დიდი უბედურება მიაყენა საქართველოს, ამ თაჯების მოდგმისა იყო.

## საუბარი

გუშინ ერთი სოფლელი შემოვიდა ჩემთან და ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ, ზრდილობიანად მკითხა: „მოგახსენებენ, რომ ახალი გაზეთი გამოდის და მართალია?

— დიახ! რამდენიმე ნომერი კიდეც გამოვიდა.

— მოგახსენებენ აგრევე, ნახატები ვერ არის, რომ უნდა მისთანაო...

— მართალია, პირველი ნომერი ცოტა ვერ გამოვიდა, მაგრამ მერე კი თან-და-თან უკეთესობაში შედის და შემდგომისათვის, იმედია, მაგ მხრითაც გაუმჯობესდება.—მოგეხსენებათ, ყველაფერს შეძლება და საშუალობა უნდა... ფეხ-მოუმაგრებლად ვის გაუვლია?—პირ-და-პირ ბუდიდან ჩიტიც ვერ გადაფრინდება, სანამ ფრთებს არ მოიმარჯვებს. ვეცდებით, რომ ჩვენი გაზეთიც თან-და-თან გაუმჯობესდეს.

— ისემც ღმერთმა კარგი მოგცესთ!—მაგრამ რამდენი სახატავი კი გექნებათ? და ან რა უნდა ხატოთ?

— როგორ თუ რა!—ჩვენი ქვეყანა დიდად თვალსაჩინოა: ბევრი ავი და კარგი უნახავს,

უცხოერია!—ეს, ისტორიითაც რომ არ ვიცოდეთ, ასეც სათვალ-და-თვალოა. აბა, თუ იმისთანა კუთხეს, იმისთანა მხარეს მონახავთ სადმე საქართველოში, რომ ციხე-დარბაზებისა და ტაძრების დიდებულ ნაშთებით არ იყოს მოფენილი! თვითოეულ მათგანს თავის საკუთარი თავ-გადასავალი აქვს. ჩვენ იმ ძველ ნაშთებს გადავხატავთ ხოლმე, დღეს ერთს, ხვალ მეორეს და თან იმასაც ავსწერთ, თუ ვისგან და როდის აგებულა? ვისა და რა დროს დაუქცევია? რა თავ-გადასავალი ჰქონია? და სხვანი. ესენი ყველა საჭირო და საამო შესატყობია. მაგალითად: ერთად თამარ-მეფის სახელთან, რა თქმა უნდა, „ვარძიაც" გაგვეგონებათ, მაგრამ ნახვით კი არ გენახვებათ!.. ერთს დღეს, ესთქვათ, მოცლილი და მოწყენილი რომ ბრძანდებით ოთახში შემწყვდეული, მოგდისთ გაზეთი „კვალი"; თქვენ ხედავთ იქ „ვარძიას" დახატულს და თანაც მაზედვე ვრცელ მოთხრობას. თვალ-წინ გეხატებათ დიდებული მონასტერი, გაგონდებათ დიდებული თამარი, როგორც მისი სახელოვანი პატრონი, მისი დრო, მისი ავი და კარგი... გული გიცემსთ სიამოვნებით და...

—ღმერთმა კაი დაგმართოს,—ღმერთმა კარგი მოგცეს!.. შემომყვირა სტუმარმა და გამაწყვეტია სიტყვა.

—ამას გარდა ბევრი გამოჩენილი და სახელოვანი კაცი ყოფილა და არის დღესაც, როგორც ჩვენში, ისე სხვაგანაც.. მათი სახელი გაგიგონიათ, მაგრამ ნახვით კი არ გინახავსთ და არც მათი ვინაობა იცით!.. ისინი რომ დაგიხატოთ და მათი თავ-გადასავალიც შეგატყობინოთ ხოლმე, განა ურიგო იქნება?

—კეთილი! მაგრამ, როგორლაც სხვა გვარად მოგახსენებენ: „მაგ ნახატებს ხელოვნება ეკლებათო! რომ უნდა ისე ვერ გადაიღებენო და უმჯობესია სულ არ იყოსო! სხვა ქვეყნებში, უცხო ჟურნალ-გაზეთებში სურათები ჩინებულია და ჩვენ, რადგანაც იმათთანას ვერ მოვახერხებთ, სჯობს თავი დავანებოთო!"

—მართალია, ხელოვნების მხრით ჩვენ მეტოქობას სხვებს ვერ გავუწევთ, მაგრამ მაგიტომ ხელი რად უნდა ავიღოთ? ებრაელები რომ ეგვიპტიდან გამოვიდენ და უდაბნოში ეხეტიალებოდენ, თავს მითი ანუგეშებდენ რომ „არაობას, კარაობა სჯობიაო!" ამასავე არ გვირჩევს ქართული ანდაზაც: „სადაც არ იყოსო, ცოტა კმარიყოსო?"

—ეგ სწორედ მართალია, მაგრამ მაინც...

—რაღა მაინც, დალოცვილო? ესთქვათ თქვენთან მოვიდა ორი მხატვარი; ერთს მათგანს სამაგალითოდ და დიდი ხელოვნებით დაუხატავს სხვა-და-სხვა ქვეყნის მზეთ-უნახავები, მეორეს კი თქვენის ცოლ-შვილისა და მახლობლების სურათები გადაუღია, და თუმცა ისეთი ხელოვნებით კი ვერა, როგორც პირველს, მაგრამ მაინც მიუმზგავსებია... თქვენ რომელს აირჩევდით?

—რასაკვირველია მეორისას!.. ეგ კი არა, ბატონო, ამ დღეებში სადღესასწაულოდ ჩემი შვილი გიახლათ შინ... აიღო კარანდაში და თავის დედა გადახატა, ასე რომ ვითომ მოჰკავს რაღა!.. თქვენმა სიცოცხლემ ისეთ აღტაცებაში მოგვიყვანა და ისე გვასიამოვნა, რომ მეტი აღარ შეიძლება! და დედა მისი ხომ კინაღამ გაგიჟდა სიხარულით.

—მართლა?... მაშ სხვა ქალის ნახატი, მშვენიერად, ხელოვნურად დახატული რომ ვინმე მოგიტანოსთ და გითხრასთ: „ესა სჯობია მაგ თქვენის შვილის ნაბღაჯნს, ეს მიიღეთ და ეგ კი გადააგდეთ, ნუ გინდათო!.. რას იტყვით?

რა პასუხია?.. ეგ რა სათქმელი იქნება?!.

—კეთილი. თქვენი ნაცნობები და მეგობრები რაღას ამბობენ?

—მოსწონთ იმათაც... ჩემს სიხარულს თანაუგრძნობენ და მირჩევენ კიდეც, რომ იმ ჩემ შვილს ხელი შევუწყო და მივსცე საშუალება გავარჯიშებისა და უკეთეს მხატვრობის შესწავლისა.

—იმათში რომ ვინმე გამოერიოს და გირჩიოს: „ეგ ისე კარგად ვერ არის დახატული, როგორც გამოჩენილი მხატვრები ჰხატვენ ხოლმეო!—კიჟინა დასცეს თქვენ შვილსა და გირჩიოსთ, ეგ ნახატი დახიეთ!.. გადააგდეთ!.. ნუ გინდათ—არ ვარგა!.. და სხვანი... თქვენ დაუჯერებდით? არას უპასუხებდით?

—ვუპასუხებდი კი არა, კაი, კაი პანღურსაც მივაყოლებდი, თუ მოვახერხებდი...

—აბა, სწორედ ეგ არის პასუხი, იმათიც, ვინც ამტკიცებს, რომ „კვალში" ნახატები არ ვარგიან და თქვენც ნუ გინდათ!—ხელი აიღეთო!" ჩემმა სტუმარმა გაიცინა და სთქვა: „ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ სხვა ხმებიც ვრცელდება და ის უფრო გვაშინებს!.. აი, მეც მინდოდა გამომეწერა ეგ ახალი გაზეთი და ველარ გავბედე. ვინ იცის, რამდენი ჩემისთანა სხვაც შეაჩერა იმ ხმამ?.. მოგეხსენებათ, ქვეყანა ენის ამყოლია...

—რა ხმები?

—აი, რას მოგახსენებენ: მაგ გვარ გაზეთს, ესე იგი ნახატებიანს, ეჭირვება არა ნაკლებ ორი-ათასი ხელ მომწერისა, რომ თავი შეინახოსო!.. ამდენი ხელის-მომწერი ჩვენში შეუძლებელია. მაშასადამე გა-

მომცემლებმა ფულიც თავისი უნდა ხარჯონ და უსასყიდლოდაც იშრომონ, რომ გაზეთმა იცოცხლოსო, და ამას რად იზმენ, თუ აქ სხვა საპირადო განზრახვა არ იყოსო. სწორედ ასე ამტკიცებენ და, ცოტა არ იყოს, ჩვენც ჩაგვაფიქრა ამ მოსაზრებამ...

— რომ მართლა ჩაფიქრებულიყავით, არც მაგას იტყოდით, რაცა ბრძანეთ!.. ჩვენ, ქართველებს არც გრძნობა გვაკლია და არც გონება, მაგრამ, ვერც ჩვენთვისა და ვერც სხვებისათვის სასიკეთოდ ვერა ვხმარობთ... და ვერა ვხმარობთ იმიტომ, რომ ჩაფიქრება არ ვიცით! – გულში ჩახედვის მაგიერად, სხვებს შევჩერებივართ და სხვის ფერხულში ჩაბმული ბავშურად „ასკი-კუ-კუს“ ვთამაშობთ! განა კაცის ბედნიერება მარტო პირად კეთილ-დღეობაზეა დამყარებული? როდესაც არც ჭამა აკლია, არც სმა, თბილადაც არის და არც არავინ ძილს უფრთხობს, მაშინ პირუტყვიც ბედნიერია! — მაგრამ ადამიანისათვის, როგორც უმაღლეს ქმნილებისათვის, მარტო ეს პირობები საკმაო არ არის!.. იმას უნდა, რომ მის გარეშემო სხვებიც ბედნიერები იყვნენ. — ეს არის პირველი საზღვარი პირუტყვებსა და ადამიანებს შუა და ამ საზღვარს სხვა ქვეყნის ერები კიდეც აგებენ, და ჩვენ კი, ქართველები, ჩვენი მამა-პაპის აგებულსაცა ვშლით..

— დრომ მოიტანა. ნათქვამია: „ჯერ თავო-და-თავო, მერე ცოლოდაშვილოო.“ — ჭამა ქონებაზედ არის. დალოცვილო სხვებზე ფიქრი რა დროს'ია, როცა ყველას ჩვენ ჩვენი საკუთარი ცეცხლი გვწვავს. სიღარიბე... სიღარიბეა მიზეზი.

— სიღარიბე გრძნობა-გონებაზეა დამოკიდებული და ჩვენც, ქართველებს, მხოლოდ სურვილი გვაკლია, თორემ შეძლება გვაქვს: მაგალითად ავიღოთ ჩვენი თავი: როცა ლხინი გვაქვს ხოლმე (და როდის არა გვაქვს?) რა ბედნიერნი ვართ მაშინ!.. პური... ღვინო... ხორაგი და სხვა ათას-გვარი სანოვაგე ოხრად გვიყრია სტუმრების წინ და მამა-პაპურად გულ-გახსნით გავკივით „მრავალ ჟამიერს“ სადღეგრძელოების ჩამოლოცვით. ბედნიერებით მთვრალებს, მოლხენილს გულზედ, დრო აღარ გვრჩება, რომ ჩვენს გულში ჩავიხედოთ!.. ვინ იცის, იმ დროს, როდესაც ჩვენ ნაყროვნებას ვეძლევით, ერთმანეთს ღვინოს ვაძალებთ და კისერში ვასხამთ, რამდენი გაჭირვებული სიმშილ-წყურვილით გაბოროტებულია და მათ დასამშვიდებლად, მათ სულის გამოსაბრუნებლად საკმაო იყო ის მიგვეწოდებინა, რაც აქ ტყვილა-უბრალოდ ფუჭდება და ოხრდება?!... მაშინ რომ ეს ფიქრები მოგვდიოდეს და რაც ჩვენი ლხინისა, შექცევისათვის მეტია და ტყვილა ოხრდება, იმ გაჭირვებულებს მივაწოდებდეთ, ნუ თუ მითი ჩვენი ლხინიცა და სიხარულიც ორკეცი და უფრო სინიდისიერიც არ იქნება?... ან და ჩვენს მანდილოსნებზედა ვსთქვათ: ას მანეთიან მოსასხამებით რომ მიფრიალობენ ხოლმე სალხინოდ თეატრებსა და ბალებში, თვითო მანეთი რომ ჩამოაკლონ და ოთხმოც-და-ცხრამეტ მანეთიან მოსასხამებით წაბძანდენ მითი რა წაუხდება მათ სამკაულს? ის ჩამონაკლებიც რომ საზოგადო საქმეს მოახმარონ, ნუ თუ სინიდისთანაც ბოდიშ მოხდილნი არ იქნებიან და მათი სიხარულიც უფრო სამართლიანი და უფრო მტკიცე არ იქნება? ეს ხომ ასეა და რომელი ქართველი იქნება იმისთანა, რომ ამაზედ გრძნობაც არ დაეთანხმოს და გონებაც? მაგრამ საქმე კი მაინც არ ხერხდება! და არ ხერხდება მხოლოდ, იმიტომ რომ ჩაფიქრება და გულში ჩახედვა გვაკლია! იმდენად გარეწარი ვართ საზოგადო საქმისა, რომ არა თუ ჩვენ არას ვაკეთებთ, სხვები რომ აკეთებენ, ისიც გვიკვირს და არა გვჯერა! იმ დღესაც მოვესწარით, რომ ჩვენშიაც რამდენსამე ქართველს განუზრახავს კეთილი საქმე, კეთილის განზრახვით გაზეთი დაუარსებიათ და ჩვენ კი ცილს ვსწამებით და ვიძახით:

— ნუ გჯერათ, საპირადო იარაღიაო და სხვანი.

— მაშ არც ის იქნება მართალი, რასაც თქვენზე ამბობენ?

— ჩემზე?

— დიაღ... დიდხანს არ იმუშავებსო. მხოლოდ ორიოდე თვეს იშრომებს, ხელის-მომწერლებს მიიტყუებს და მერე თავს დაანებებსო!

— მაგას ვინც ამბობს, ეტყობა, ჩემი შეურაცხყოფა ჰსურს და თქვენ მაინც არ უნდა იმეორებდეთ! მე სრულიად ის არა მგონია, საკუთრად ჩემთვის ხელი ვინმე მოაწეროს, და რომ კიდეც მეკონოს, ნუ თუ საზოგადო საქმეში ცბიერებას დავიწყებ? დალოცვილო ამდენი ხანია ჩემს არჩეულს გზას ვადგავარ. საკანში ხომ არ ვყოფილვარ... აშკარად, საქვეყნოდ ვმოქმედობ. ბევრი ჭირი მინახავს, ბევრი ლხინი; ბევრჯელ ავდარი დამდგომია, ბევრჯელ დარი და, აბა, თუ ერთხელ მიღალატნია საქმისთვის, გადამიხვევია იმ ჩემი გზიდან და ყალბობა, ან ზარმაცობა რამ შემმჩნევია?

— მაგას არ მოგახსენებთ; მოუსვენარია და ერთ ადგილს ფეხს ვერ მოიკიდებსო.

— მერე რაო? მითქვამს და კიდევ ვიტყვი: ფუტკარი სულ დაჰფრენს მოუსვენრად; ნეხვის ჭია კი ერთის ადგილიდან ფეხს არ იცვლის... არის თავის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეის ჩუმად და აგუნდავებს ფუნას. მაგრამ ნუ თუ ნეხვის ქიაობა უფრო სასურველია ფუტკრობაზე?

— მაგაზედ არ მოგახსენებთ. ერთ ადგილას, ერთ რომელსამე გაზეთში, ან ჟურნალში, დიდ ხანს ვერ გაჩერდებაო!...

— ეგ ტყუილი გახლავსთ, მართალიც რომ იყოს, მაგითი რა დაშავდება? ქათამმა კვერცხი კი სდვას თქვენს ოჯახში და ერთს საბუდარში დადებს თუ მეორეში, სულ ერთი არ იქნება? დამერწმუნეთ, ქათამი ხომ ქათამია, ისიც არ გამოიცვლის საბუდარს, თუ არ დააფრთხეს, არ აუქშიანეს და ძალით არ გადააგდეს, არა თუ კაცი. ქათამს როცა აფრთხობენ, ისიც ჰფიქრობს: აქ, ჩემ ნებაზე კვერცხს ვერ დავდებ, და ფრთებსაც მომამტერევენო, მიდის და სხვა საბუდარს ეძებს... და მე რომ კაცი ვარ, ნუ თუ ქათმის ოდენი მოსაზრება და სიმართლე არ უნდა მქონდეს; ჩემ შესახებ თუ გავშორებივარ რომელსამე გაზეთს ან ჟურნალს, ალბად მიზეზი მქონია. და დღეს კი, როდესაც ეს ახალი გაზეთი საკუთრად ჩემთვისა და ჩემისთანა ქათმებისათვის არის დაარსებული, თავს რაღად დავანებებ?

— ისემც კარგი დაგემართოსთ! მაშ არც ის იქნება მართალი, რომ ხელ-მომწერლები სულ არა ჰყავს გაზეთს და მალეც მოისპობაო?

— პირველ წელიწადს ჩვენ სულაც არ ვანგარიშობდით ხელის მომწერლებს, მაგრამ საზოგადოებამ კი ამ თავითვე ისეთი თანაგრძნობა და შემწეობა გამოიჩინა ამ ახალ ნორჩისა თუ ხელის-მოწერით, თუ ისე სხვა გვარად დახმარებით, რომ ჩვენ არც კი მოველოდით! დასამტკიცებლად იმათი სახელი და გვარი გამოცხადებული იქნება სიით ამ მოკლეს ხანში და მაშინ დარწმუნდებით!

— მე ახლაც დავრწმუნდი, მაგრამ ეს კი აღარ ვიცი, რა უნდა უთხრა იმათ, ვინც სულ სხვას გვეუბნებოდა და სხვას გვირჩევდა?

— მხოლოდ ის, რაც ჩვენც უნდა გვიბძანოთ: „საქმემან შენმან გამოგაჩინოსთ თქვენ!“

— გმადლობთ! შევაწუხეთ ამდენის ყბედობით და ახლა ერთიც კიდევ რამ მაქვს სათხოვარი და უნდა ამისრულოთ: ყველას ხომ ჩემსავით არ ექნება შემთხვევა, რომ მოგელაპარაკოსთ იმ საძაგელ ხმების მოსასპობლად; არ შეიძლება რომ ეს დღევანდელი ჩვენი საუბარი დაიბეჭდოს?

მე, რასაკვირველია, აღვუთქვი და ვასრულებ კიდეც მის თხოვნას და თუ ვისმე თავი მოაბეზროს, ბოდიშს ვიხდი.

აკაკი

# ოცნებით გატაცებულს

სრული ნება მიგიცია,
მეგობარო, ოცნებისთვის...
შორს გიტაცებს... აზრს გიხატავს
ქვეყნის განკარგებისათვის...

მაღლა ცაში აგებ კოშკებს;
იქ ანთებ კვარს სიმართლისას, —
და ჰფიქრობ, რომ მით ქვეყანას
მოჰფენ ნათელს სიწმიდისას.

ამპარტავნად გაიძახი:
„ქვეყანაზედ სიბნელეა!“
დიაღ, მაგრამ შენს მამულში
სიწმიდე და სინათლეა?..

არა, არა!.... მიტომ გირჩევ,
ოცნებიდან გამოჰფხიზლდე
და ბედ კრულსა შენს მამულში
შრომისათვის დასტრიალდე.

ჯერ შრომითა ჩვენს ბედის თვალს
მოსცხე რამე წინ საელელად...
და შემდეგ კი მამულისთვის
გასწი ნათლის გასაელელად.

ღრმად დაკვალე, ზედ მოთესე
თესლი წმინდის სიმართლისა,
იმ აზრით, რომ არ გაჰქრება
ჯაფა ნამდვილ მშრომელისა.

ვლ. მცხეთელი.

# სწორიდან სწორამდე

რაზედ უნდა ზრუნავდენ ქალაქები და სად იძენდენ გამოცდილებას.—კიდევ ტფილისის მაგალითი ქუთაისისათვის.—ცხენის რკინის გზის გაყვანა, ანუ ორმოცდა-ხუთის წლის ტყვეობა ტფილისისა უცხოელთა ხელში. — დღევანდელის კრების გამო. — ჯაჭვი დაგვდეს უმეცრების, კისრად ვიღეთ და დავდუმდით.

ყეენობა გათავდა. წარსულს ორშაბათს იმ ვნებითა და ალტაცებით სავსე სურათების მაგიერად, რომელიც ჩვენსავე გაზეთში იყო აღწერილი და უწინდელ დროიდან გადმოღებული, ჩვენ ვიყავით მოწამე უბრალო ტაკი-მასხარაობისა; ისიც სად? შუაქალაქში ყეენის ტარება სრულიად აღიკრძალა და მხოლოდ ქალაქის განაპირებში ბიჭ-ბუჭებს მოეყარათ თავი და გამელელ-გამომელელს გროშებსა სთხოვდენ იქვე ევროპიულ მასკით მორთულ თავიანთ ამხანაგისათვის. ერთის სიტყვით ეს ყეენობა კი არ იყო, იყო რაღაც უკემური, უშნო და ულაზათო არევ-დარევა ჩვენისა და ევროპიულ ჩვე-

ულებებისა... სამაგიეროდ ამ ბიჭ-ბუჭების გროვას გვერდს შეუპოვრად უვლიდა ევროპიდან გადმონერგილი ხილი, ნაყოფი იქაურ ფულიან ყეენებისა, რომელიც არა მარტო შავ ორშაბათს, წელიწადში სამას სამოც-და-ხუთს დღესა და ღამეს გამვლელ-გამომვლელს უხვად ართმევს შაურიანს ხარკს და ამ შაურების ხვავში მას უკან თავისუფლად ხელებს ურევს.

მიხვდებით რომ ჩვენ ვლაპარაკობთ ცხენის რკინის გზაზედ, ანუ ესრედ წოდებულ „კონკაზედ“, რომელიც ათი წელიწადია ჩვენს დედა-ქალაქში მოქმედობს და ლამის შესცვალოს მისი იერი და მცხოვრებელთა განაწილება. ჩვენ წინააღმდეგ ამ დაწესებულებისა არა გვეთქმის-რა: პირ-იქით მან განზედ გასწია ქალაქი, სივიწროვე მოსპო, გაათანასწორა მეტად თუ ნაკლებ ფასები სადგურებისა შუა ქალაქში და განაპირა ადგილს, მისცა საშუალება ღარიბს ერთითა და ორი შაურით თითქმის მთელი ქალაქის შემოვლისა, ერთის სიტყვით ქალაქიც გააუმჯობესა და შეუძლებელ მცხოვრებთაც შეღავათი მისცა. თუ გვეთქმის რამე, მხოლოდ ეს, რომ სამწუხაროა ამისთანა ცხადი და მოსაგები საქმე ქალაქმა როგორ დასთმო, როგორ ჩაუგდო უცხო პირთ ხელში და ამით ხელიდან გაუშვა საშუალება ქონების შეძენისა და თავის მრავალ გვარის საჭიროების დაკმაყოფილებისა. ამ საგანზედ ჩვენ ვლაპარაკობთ ეხლა იმიტომ, რომ ქუთაისშიაც აპირობენ თურმე ამისთანა გზის გამართვას დ სასურველია ქუთაისმა მაინც არ ჩაიდინოს არც ერთი ის შეცდომა ამ საქმეში, რაც კი ტფილისს მოუვიდა,— და რომ შეცდომებით სავსეა ტფილისის გამგეობის მოქმედება, ეს ცხადზედ უცხადესია.

რა ეთქმის მართლა ტფილისის გამგეობას თავის გასამართლებლად, რომ ამისთანა სასარგებლო და ხელსაყრელი საქმე უცხოელთა ხელში ჩააგდო და ამის შემოსავლით მრავალი თავისი წყლული არ გაიმთელა? თუ იმას იტყვიან, ფული არა გვქონდაო, განა სესხად ვერ აიღებდენ, ისე როგორც აიღეს ქალაქის სახლის ასაშენებლად, ვერის ხიდის გასაკეთებლად, ავჭალიდან წყლის გამოსაყვანად და სხვ. თუ კი მილიონობით ვალის აღების ნება მისცა მთავრობამ ამისთანა შემოსავლისათვის საეჭვო შენობათა და მოწყობილებათა გასამართავად, ცხენის-რკინის გზისათვის არ მისცემდა ნებას, რომელიც უეჭველია თავის ხარჯსაც გაისტუმრებდა და მოგებასაც მისცემდა?! ვერც იმას იტყვიან, ამ საქმეს დიდი ყურადღება უნდა და ქალაქის გამგეობა ვერ იტვირთებდაო. თითონ ეს საქმე რაკი ერთხელვე გაიჭართება და მოეწყობა, მეტად ადვილად საწარმოებელია და ქალაქის გამგეობას სრულიად არ გაუჭირდებოდა თუნდა ცალკე მეთვალყურის ყოლა განგებ ამ საქმისათვის, როგორც მაგალითად ეხლა ჰყავს მეთვალყურე წყლის გამყვან მოწყობილობისათვის,
ცხენის რკინის გზაზედ ბევრად უფრო საძნელო
საჩხირკედელოა.

ეს კიდევ არაფერი. როცა 1881 წელს ტფილ
მოქალაქენი ორმოც-და-ხუთი წლით ტყვედ მ
უცხოელებს,—აჰა, შაურები თავისუფლად ჰკრი
მთელ ამ ხნის განმაელობაშიო, თითონ ეს უფ
დაინარჩუნა, რომ თხუთმეტს წელს შემდევ
მექნება გამოსყიდვისა, თუ თქვენს მოგებას
ოცად შევკეცავ და ჩაგაბარებთო და თან ყო
ჟამს, როცა კი მოისურვებ, თქვენი შემოსავალ
საელის დავთრების გასინჯვაც შემეძლებაო. ეს
დევ კარგიო, იფიქრებთ, თხუთმეტს წელს შე
მაინც შეიძლება მოხერხდეს ამ ტყვეობიდან თ
დახსნაო. მაგრამ, წარმოიდგინეთ, უფლება ზედ
დეველობისა წინდაწინვე პირობით შეძენილი და
მტკიცებული,—უფლება, რომელიც ფრიად საჭი
წმინდა მოგების უტყუარად გამოსაანგარიშებლ
ქალაქის საბჭომ გამგეობის წინადადებით უკანვე
უბრუნა ცხენის რკინის გზის საზოგადოებას და
ლოდ ისლა შეინარჩუნა, როცა შესყიდვის სურ
გამოვაცხადებ (ეს უეჭველად ერთის წლის წინ
უნდა გაცნობოთო), მხოლოდ მაშინ შემეძლება თქ
წიგნებსა და დავთრებში ჩახედვაო. რა მიზეზით,
საბუთით უარ-ჰყო გამგეობამა და საბჭომ ერთხე
შეძენილი ფრიად საჭირო უფლება, ჩვენ არ გვ
და არც საქმიდანა სჩანს და უნდა ვიგულისხმ
რომ ეს იმავე მიზეზითა და საბუთით მოხდა,
მიზეზითა და საბუთითაც ტფილისი მთელი რვა წ
განმაელობაში უსასყიდლოდ უწმენდდა და უ
ტდა უცხოელთ იმავე გზებს, როდესაც ამისი
ვალე სრულიადაც არ იყო—მიზეზით და საბუთ
რაც აწინდელმა საბჭომ რის ვაი-ვაგლახით უარ
და გადაარჩინა ქალაქი ყოველ წლიურ შრომასა
ხარჯს მარტო საზარალოს კი არა, სათაკილოსა

თუ ქუთაისის გამგეობა ამ საქმეს ხელს მო
დებს, ვურჩევთ სახეში იქონიოს ტფილისის მაგალ
და თითონვე იკისროს ამისთანა გზის გაყვანა,
თავის ხარჯით ვერა, ვალით მაინც, რასაც, უე
ლია, თითონვე გაისტუმრებს და ბოლოს დიდ ს
გებლობასაც მისცემს ქუთაისს მრავალ სხვა-და-
იძის საჭიროებისათვის.

დღეს ტფილისში საადგილ-მამულო ბანკის
განგებო კრებაა სხვათა შორის კონვერსიის შეს
ბაც... ბავშვს რომ ბრწყინვალე, სასარგებლო ნი
მისცემენ რასმე, რომლის მოხმარებაც არ იცის,
ცხვირში იტაკებს, ხან ყურზე წამოიცვამს, ხან
ზეზოდ გადასტყორცნის, ხან ტირილს მოჰყვება, უკ
მომეცითო და სწორედ ამისთანავე საქმე ემ

თება ჩვენს საზოგადოებასა და ბანკის გამგეობას კონვერსიის შესახებ. მთელი ორი წელიწადია, რაც ამ პატარა სამ-მარცვლოვანს სიტყვას ტყავს ვაძრობთ სიტყვით თუ წერით, ვრცელ მოხსენებას ვისმენთ ბანკის გამგეობისას და ვისმენთ იმიტომ კი არა, რომ ჩავუკვირდეთ საქმეს და ავი და კარგი გავარჩიოთ; ვისმენთ მხოლოდ იმიტომ, რომ წაკითხვის შემდეგ მორჩილად თავი დავხაროთ, გამგეობას ვუთხრათ,— თქვენ ჩვენი ამორჩეულნი ხართ, საქმე თქვენ, რასაკვირველია, უკეთ გეცოდინებათ და ჩვენ რაღა გვეთქმის და დავყაბულდეთ რა ყოველისფერზედ, წავიდ-წამოვიდეთ შინ სადილის მისართმევად. დღესაც, უეჭველია, ეს სცენა განმეორდება, მოვისმენთ გამგეობის მოხსენებას „ალპარებითა", „პრომილებითა" და „ფორს-მაჟორებით" გაჭიკნილს ყოველისფერზედ დავეთანხმებით და დავიშლებით. გამგეობის წევრნიც ამ კრების გარდაწყვეტილების ძალით წავლენ პეტერბურგს, მიივლ-მოივლიან და ერთ წელს შემდეგ კიდევ საგანგებოდ შეგვყრიან, კიდევ გრძელს მოხსენებას წაგვიკითხავენ და გვთხოვენ შარშანდელი უფლება გაგვიახლეთ, რადგან შარშან ვერა გავაწყეთ-რაო: თუმცა საქმე საქმეზედ იყო მოყვანილი და დავაბოლოვებდით კიდეც, გერმანიის იმპერატორს რომ კენიგსბერგში სიტყვა არ წარმოეთქვა, ან სამხრეთ ამერიკაში ვენეცუელას ჩილისათვის ომი რომ არ გამოეცხადა და ამით ჩვენი კურსი არ დაცემულიყო....

ჩვენ არა ვხუმრობთ. წაიკითხეთ გულ დადებით არა ერთხელ, თუნდა ორჯელ და სამჯერ მოხსენება გამგეობისა დღევანდელ კრებისათვის მომზადებული, თუ ამისთანა შთაბეჭდილება არ გამოიტანოთ. ეხლა უცხო-ქვეყნელ გაზეთებს შემოუღიათ, გამოცანებს ურიგებენ თავიანთ ხელის-მომწერლებს და გამომცნობელს ჯილდოს აძლევენ. აქაურ გაზეთებსაც რომ შემოეღოთ ეს ჩვეულება, გამგეობის მოხსენება საგანგებოდ დარიგებული გამოცანა გვეგონებოდათ საგანგებოდ კრებაზედ ჩამოსულ თავად-აზნაურთათვის. თუ არა გჯერათ ჩვენი სიტყვა, მოისმინეთ და თქვენვე განსაჯეთ.

ჯერ ერთი ესა, განა მოვალე არ იყო გამგეობა ესეთი უბრალო და ადვილად განსამარტებელი საგანი, როგორც კონვერსიაა. აქამდის რიგიანის ქართულით ჩაეგონებინა საზოგადოებისათვის. სხვა არა იყოს რა, საზოგადო კრების გარდაწყვეტილება მაინც შეესრულებინა, რომლის ძალითაც ყოველი მოხსენება კრების ორი კვირის წინად რუსულად და ქართულად უნდა მზად იყოს. ვადა, კიდევ, მადლობა ღმერთსა, შეგვიწირავს გამგეობისათვის, ეს ქართულის განდევნა რაღა არის? ან კიდევ რუსული მოხსენების ფრანცუზული სიტყვებით აჭრელება?!

ახლა ჩავუკვირდით თვითონ საგანს. რა არის კონვერსია? ის არის, რომ რაკი ფული გაიაფდა და ფულის პატრონი ექვსის პროცენტის მაგიერად ხუთსა სჯერდება, მეც, ბანკის მოვალეს, ისე მომიხერხოთ, რომ უდავიდარაბოდ, უნოტარიუსოდ, ჩემი აღებული ექვს-პროცენტიანი ვალი ხუთ-პროცენტიანად გადამიქციოთ; რომ ყოველ ათ თუმანზედ წელიწადში ექვსი მანეთის მაგიერად ხუთი მანათი გამომართვათ. ეს არის და ეს. ამისათვის საჭიროა ჩემის სესხის ექვს-პროცენტიანი გირავნობის ფურცლები გააბათილოთ. მოსპოთ და იმდენივე ხუთ-პროცენტიანი გამოსცეთ და გაანაღდოთ,—და ეს იმდენად უფრო ადვილად მოსახერხებელია, რამდენადაც ათ თუმნიანის ფურცლის ფასი ხუთ-პროცენტიანისა ათ თუმანს დაუახლოვდება. ორი წელიწადია, რაც ეს დაახლოვება მოხდა და ზოგჯერ ფასი თვით ღირსებას გაუთანასწორდა; სხვა ბანკებმა კონვერსია მოახდინეს კიდეც და ჩვენს ბანკს კი არა ეშველა-რა. აქ თურმე საქმე ხელახლავ უნდა დავიწყოთ, თუმცა ილაჯ-გაწყვეტილ მსესხებლებს ბანკისას მოსწყინდათ ექვს-ექვსის პროცენტის ძლევა, დიდმა ნაწილმა თავისებური კონვერსია მოახდინა დ პირდაპირი გზის მაგიერად, რომელსაც გამგეობამ ვერ მიაგნო და რომელიც არავისთვის საზარალო არ იყო, სხვა მრუდე, ძნელი და ბევრის ხარჯის მომთხოვი გზა აარჩია.

რითი მართლულობს თავს გამგეობა, რომ აქამდის ვერა მოახდინა-რა კონვერსიის შესახებ? რისთვის წავიდენ გამგეობის წევრნი არა ერთხელ დ ორჯერ პეტერბურგში?!

ეს უკანასკნელი საკითხავი მაგონებს ერთს ანეგდოტის მზგავსსა ამბავს: ერთმა ჩვენებურმა კორექტორმა, რომელიც ხანდახან პატარა შენიშვნებსაცა სწერდა გაზეთისათვის, მოიწადინა ვრცელი წერილის დაწერა ამ საგანზედ, „რად წავიდა მუხთარ-ფაშა ევროპაში?". მაშინ რუს-ოსმალოს ომი ის იყო გათავდა დ მუხთარ-ფაშა ჯერ კიდევ დავიწყებული არა ჰყავდათ. რედაქტორმაც ნება დართო. ჩვენი ლიტერატორი ჩაიკეტა ოთახში, სამი დღით დაანება თავი წერასაც, კორექტურასაც; შემოიწყო ურიცხვი გაზეთები და შეუდგა წერას. სამ დღეს უკან რედაქტორს მოუტანა და წინ დაუდო ხუთი თაბახი წვრილად დაწერილი შემდეგი სათაურით: „რად წავიდა მუხთარ-ფაშა ევროპაში?" რედაქტორმა იკითხა, იკითხა, მოთმინება მოიკრიფა, როგორც იყო გაათავა, მოიხმო თანამშრომელი და უთხრა:

— შენი წერილი ყურადღებით წავიკითხე, მაგრამ მაინც ვერ გავიგე მუხთარ-ფაშა რად წავიდა ევროპაში?

გულ-უბრყვილო თანამშრომელმა გაიღიმა და მიუგო:

— სწორე გითხრათ, მეც ვერ გავიგე.

ამისი არ იყოს, გამგეობის მოხსენებიდან ჩვენ ვერ გავიგეთ, რისთვის წავიდნენ გამგეობის წევრნი პეტერბურგს და ვფიქრობთ, რომ თვით იმათაც არა ჰქონდეთ გამორკვეული.

აი საბუთიც: ერთსა და იმავე მოხსენებაში, რომელიც კრებამ დღეს უნდა განიხილოს, ნათქვამია: „ჩვენს შუამავლობაზედ კონვერსიის შესახებ სამინისტრომ გვიპასუხა, ჯერ დრო არ არისო... და მეორედაც კონვერსიაზედ უარი გვითხრეს. . რადგან რომელი ბანკის გირავნობის ფურცლებიც 100 მანეთზედ ნაკლებად ღირდა, ვერც კი გაბედავდა (!) ფიქრს კონვერსიაზედა“ და ხუთს სტრიქონს შემდეგ: „კონვერსია მაშინაც მოსახერხებელი იყო, თუნდა გირავნობის ფურცლები 100 მანეთზედ ნაკლებად ღირებულიყო“.

ახლა თქვენ გამოიცანით, — როდის იყო შესაძლებელი კონვერსია? ან „რაჲ წაიღა მუხთარ ფაშა ევროპაში?...“

ეს კიდევ მადლობა ღმერთსა. რაც იყო, იყო, წარსულს ნუღარ გამოეკიდებით. ეხლა რაღა გზას გვიჩვენებს გამგეობა? კონვერსია მოვახდინოთ სახელმწიფო ბანკის შემწეობით და თუ იმან არ იკისრა, ჩვენივე საშუალებით, რადგან ნახევარ მილიონამდე ფული გვაქვს დროებით თავისუფალი და ამით შეიძლება პასუხი გავცეთ ექვს-პროცენტიანი გირავნობის ფურცლების პატრონებს, როცა იმათი ფურცლები გაბათილდება, ვიდრე მათდა სამაგიეროდ გამოცემულ ხუთ-პროცენტიანებს დავაბინავებდეთ და გავანაღდებდეთო. შემდეგ შევავსებთ ჩვენს ფულს და კვლავ შევუდგებით დანარჩენი ფურცლების კონვერსიასაო. მერე ამას ვინ ამბობს? მთელი გამგეობა! არა, ერთს წევრს რომელსაც „სიფრთხილით დ წინ-დახედულობით“ თავი მოაქვს, გამოუცხადებია: მე ამ უკანასკნელი საშუალების წინააღმდეგი ვარ, ბანკის ფულს მაგისთანა საეჭვო (?!) ოპერაციებში ვერ დავაბანდებინებთო. სხვისა კი ყველაფრისა თანახმა ვარო. მერე, სხვა რაღა დარჩა? ის რომ სახელმწიფო ბანკმა იკისროს ჩვენის ბანკის საქმე? ბუს დიდი თავი აქვს და იმან გამოიტიროს ყვავის ბახალა?! მერე რომ უარი გვითხრან, რაღა ვქნათ? კიდევ საგანგებო კრება, კიდევ მოხსენება, კიდევ პეტერბურგს წასვლა! იმ დრომდე ხომ დანარჩენნიც მოიხერხებენ ხუთ-პროცენტიან სესხებს ექვს-პროცენტიანის მაგივრად და კონვერსია ვიღასთვის რაღა საჭირო იქნება!

დაუმატეთ ამას კიდევ, რომ ზედამხედველს კომიტეტს სხვა რაღაცა აზრები ჰქონია ამავე საგანზედ, რომელიც მხოლოდ ხმის უმეტესობით მიუღია და მერე თვალწინ დაიხატეთ სურათი დღევანდელის კრებისა მოხსენების წაკითხვის შემდეგ...

ეს ხომ ყველა ასეა, მაგრამ მაინც მოვისმინოთ, დავამტკიცებთ და დავიშლებით და იქნება მხოლოდ ზოგიერთმა წაიდუდუნოს პოეტის სიტყვები ცოტა ადგილ გარემოების შესაფერად გადასხვაფერებული.

მომესია ციფირთ გუნდი,
შემომერტყა ბნელი ბუნდი,
ჯაჭვი დამდეს უმეცრების,
კისრად ვიდე და დავდუმდი.

---

## ყარიბი

ნუ კითხულობ, ვინა ვარ?
სიდან მოველ? სად მივალ?
სულ ესა ვარ, რაცა ვარ,
რასაც მხედავთ თვალ-და-თვალ!

თავისუფლად დავდივარ,
არც ბატონად, არც მონად!
ცა ქუდად არა მყოფნის,
დედამიწა — ქალამნად.

უფროსი, არც უმცროსი
ნებით არვინ მყოლია!
ვინცა მცნობს და ვისაც ვსცნობ,
ყველა ჩემი ტოლია!?

ძმობა და სიყვარული
ფულით არ მიყიდია!...
მხოლოდ გული და სული
მათი გზა და ხიდია!

არც მქონია, არც რამ მაქვს,
არც მექნება, მგონია,
მაგრამ ჩემზედ მდიდარი
არც კი გამიგონია!

მე რომ მაქვს, ის სიმდიდრე
ღვთისგან მოცემულია:
სულია ის საუნჯე
და სიმდიდრე გულია!

ვერ მომპარავს ვერავინ
თან დამაქვს ეს დიდება!...
განჩინების ძალითაც
ხელი არ ეკიდება!

ჩამოდექი, პრისტავო!...
ნუ მოდიხარ, მოვალე!...
სიმდიდრეც ამას ჰქვიან...
ვინც მომცა... ვენაცვალე!...

ხკაკი.

# ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები

## ზაქარია ორბელიანთან *)

### I

საყვარელო ძმაო ზაქარია! რატომ მიწერ-მოწერა არა გვაქვს ერთმანეთთან? უნდა აღვიარო, ამ კითხვამ დამაფიქრა. რომ მიყვარხარ—ეს აქსიომაა; რომ არ მეზარება— ამას ამტკიცებს ჩემი მოსაქმეობა სამსახურში, მაშ რაღა მიზეზია? აი ბოლოს მივაგენ: დაუდევრობა, დაბადებით თან დაყოლებული სისუსტე საერთოდ ქართველის კაცისა. სხვა, ძმაო, მიზეზი მე არ ვიცი და შენ განმიმარტე... ესეც კი არის, რომ რა მოგწერო?

ნაღვლითა და ცხოვრების მჩქეფარე ნაკადულისაგან მოწყენილობით სავსე შენი წერილი ღრმად მომეხმაურა გულში, თუმცა ამისი მიზეზი ჩვენ სხვა-და-სხვა გვაქვს. მე ძალიან ავად ვიყავი, კინაღამ არ გადავსახლდი ელისეის მინდორში. იმ დრომდე არაფერი ავადმყოფობა არ გამომევლო. ახლა ვიგრძენ უცნაური მისი ზედ-მოქმედება, იქნება, მრთელ ჩემ სიცოცხლეში დასარჩენი. მიუხვდომელობამ ჩვენის დანიშნულების საგნისამ, უსაზღვროებამ ადამიანის ნატვრისა და ამაოებამ მრთელის ცას-ქვეშეთისამ ამივსეს გული საშინელის სიცარიელით. მე რომ პატარა დამოუკიდებელი შეძლება მქონოდა, ამ წამსვე თავს დავანებებდი ქვეყანასაც, ადამიანსაც მისის გაუმაძღრობით და შეუშფოთებლად და მშვიდად გავატარებდი უბრალო (მამაპაპურ) სიცოცხლეს წიაღსა შინა მარტივის ბუნებისასა, რომელიც ასე დიდებული და მშვენიერია ჩვენს მამულში. ამ ნაღვლიან ფიქრების დროს მომესწრო შენი წერილი ახლად მორჩენილსა. აი რა იყო მიზეზი ჩემის თანა-გრძნობისა.

ადამიანის სული როდესაც თავის სრულს განვითარებას მიაღწევს და ზენაარით განსაზღვრულ საქმეებს ასრულებს, ბოლოს დამაშვრალი ეძლევა მოსვენებას მშვიდ საოჯახო ცხოვრებისასა. შენის მოწყენილობის მიზეზს ამ ჰიპოტეზას მივუკერძებდი, თუ მცოდნოდა, რომ შენი ასპარეზი გათავდა. მაგრამ შენთვის ცხოვრების ეს პერიოდი ჯერ არ დამდგარა.—სამურის ოკრუგის გამგებლობა შენთვის ჩვეულებრივ რამედ, ერთხელ მომართულ მექანიზმად შეიქნა. შენი გული ახალ საზრდოს ეძებს, შენი სული მიესწრაფება უმეტესს მოღვაწეობას, უფრო ძლიერს სცენებს, უფრო პათეტიურებს. და სანამ თავის დანიშნულებას მიაღწევდეს, მოწყენილია, დაღვრემილია. დამეთანხმე, ზაქარიავ, რომ ერთი შემთხვევაც კიდევ რაგინსკის მსგავსი და შენ ისევ საამურის მღელვარებით ხელახლად დაივიწყებ მშვიდობასაც და მეოჯახის მოსვენებასაც. გულში ჩაიხედე, და თუ დარწმუნდები რომ სახელის გრგვინვას და იარაღის ჟღერას შენის სმენისათვის მომხიბლავი მნიშვნელობა აღარა აქვს,— მაშინ დაანებე თავი სამსახურს და მამულის მოვლას მოეკიდე. ესეც მეორე სახელი იქნება, გაამბედნიერო შენი ყმები, დღევანდლამდე უპატრონოდ დაგდებულები. თუ არა და, ზაქარიავ, დაიხსომე, რომ ბედნიერ მხვნელ მთესველის ცხოვრებაშიაც მოსვენებას ვერ ეღირსები. დააყვირებენ სამხედრო საყვირსა და მიწის მომქმედი აღარა ხარ.—იქნება ვცდებოდე შენის მოწყენის მიზეზზე, მაგრამ მაინც კი შენგან მოველი სასახელო საქმეებსა.

კატო დავნიშნეთ წარსულს კვირას რევაზ ერისთავზედ და ქორწილსაც საამაღლებოდ ვაპირებთ. დიდად მიხარიან. ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს. ათასი რომ ვიჩანჩალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავაბოლოოთ ჩვენი ცხოვრება, და ამისთვის, ჩემი აზრი ეს არის რომ, რაც უნდა ვიფრანცუზოთ, მაინც ძველი ოჯახი და კარგი დამოკიდებულება, რაც უნდა წახდეს, ახალთან კიდევ მოვა.— დავით ერისთავმა სამაჭანკლოში ქორი გთხოვა და იმედი მაქვს, რომ ახალს მოყვრობას პატივსა ცემ.—გთხოვ ეს ამბავი გიორგის გადასცე. მინდოდა წიგნი მიმეწერა, მაგრამ მეფიქრება, ვაი თუ ვერ მიუვიდეს, რადგანაც ჯარები, აქეთ იქით დადის. და აბა რა სასიამოვნოა.

გწუხვარ, რომ სამურის ოკრუგის სტატისტიკა არ ვიცი, თორემ სახსოვარს რასმე გთხოვდი. შენის არჩევანისთვის მომინდვია.

სხვა ამ ხელად არა ვიცირა და საქმეებიც ბევრი მაქვს. სასამართლოში ვწერ ამ წიგნს.

შენი მარად და მარად
ნ. ბარათაშვილი

წელსა 1844-სა
აპრილის 15-სა
ქ. ტფილისით.

(წერილის გვერდზე ჩამატებულია)

შენის წერილის შემდეგ გრიგოლისაც მივიღე. რას მოიწერებოდა? ავგუსტის ტახტი რომ მისცე, მთელის რომის იმპერიას კომიკურ ოხუნჯობად გადააქცევს. ხუმრობა და ხუმრობა! უთუოდ ჯერ თავისი პოდპოლკოვნიკობა არ იცის.

### II

საყვარელო ძმაო ზაქარია! აღტაცებით მოგილოცავ გამარჯვებასა, ბრწყინვალე საქმის შესრულებასა. მე ის უფრო მახარებს, რომ ჩემი მოლოდინი მართლდება. ხში-

---

*) ამ ორ წერილში მოხსენებულნი: ზაქარია, ილია და გრიგოლ ორბელიანები ძმანი იყვენ პოეტის დედის ეფემიასი (პოეტი ყმაწვილობით თურმე დაჩვეული იყო დედას სახელს ფეფოს ეძახდა). ბიძებს თავის წერილებში ბარათაშვილი ძმად იხსენებს, რადგანაც მათთან ძმასავით შეზრდილიყო . . . . . . . . კატო იყო და პოეტისა, რევაზ ერისთვის ცოლი. დავით ერისთავი—ძმა რევაზისა. გიორგი—ვგონებთ ატამანად წოდებული ერისთავი უნდა იყოს. ლევან—მელიქიშვილი. დავით—პოეტის ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე. ბაკლან—ორბელიანი, ზაქარია—სენატორის გიორგის ძე ერისთავი. ალექსანდრე—შანშეს ძე ერისთავი. ყაფლან—ორბელიანი, გათქმული ოხუჯობითა. ქეთევან—ზაქარია ორბელიანის მეუღლე, ასული ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი ალექსიევ—მესხიევისა. პ. უ.

რად გეუბნებოდი, რომ შუბლზე გატყობ ბეჭედსა დიდებულობისა და სახელისასა.

მადლობელი ვარ თოფისათვის. ღირს, რომ სამურის ოკრუგის უფროსის საჩუქარი ერქვას. ჩემთვის კი უფრო დიდი ფასი აქვს, როგორც პატივცემულის და საყვარელის ძმის საჩუქარსა.

ფოშტით გამოგზავნილი შენი წერილი ჯერ არ მიმიღია. მოუთმენლად ველი — ჩვენი ყმაწვილი კაცები, ილია, ლევან, დავით, ბაგლანა (მითომ ესეც ყმაწვილებშია) ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი სულ წამოვიდნენ შამილის დასაჭერად; ესენი სულ სარდლები არიან ქართველთ ჯარისა. ყაფლან ხომ ასე ამბობს, რომ ესენი სულ ჩამომავლობით გმირები არიანო.

ეს შენი ლეკი სადილად დავპატიჟე და ერთი ოქროც ვაჩუქე დუშალიკში *)

კატოს ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნება. — არღუთინსკის გენერალ-ადიუტანტობას ამბობენ; თუმცა გამოცხადებით არ არის, მაგრამ წიგნი მოსულა პეტერბურგიდან. — საკვირველიც არ არის. ვინც რომ უნდა ილაპარაკოს და აცა თუ ეგ მართლა მონტეკუკული არ გახდეს ამ ცოტას ხანში.

გიორგი თუ მანდ იყოს, კარგის სიყვარულით მომიკითხე.

სხვებრ ღმერთსა გთხოვ შენს მარად და მარად მშვიდობას და გამარჯვებას ყოველს საქმეში.

შენი ერთგული ნ. ბარათაშვილი.

წელსა 1844-სა
მაისის 10-სა
ტფილისით

(დამატებულია ბოლოში)

მამამ, ფეფომ, პირს გაკოცეს. — კატომ მოგიკითხა. ისევ შეხ, თორემ სხვანი ჩუ-სუმები არიანო.

დავით ერისთავმა, სიმის ძმამ, სამაჭანგლოში ქორი გთხოვა. ზაქარიავ, ხომ იცი, ამათ მაგისთანები დიდად მიაჩნიათ.

შენი გამარჯვება ქეთევანს აქ გადავახდევინეთ. ხომ აჰ დაიჯერებ და შამპანსკებს თვლა აღარა ჰქონდა. — ამისთანაშ ხანდისხან ასეც იცის.

---

## ბათუმის მხარე

ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

ამას წინად გაზეთებმა მოგვიტანა ამბავი, რომ ბათუმის მაზრის მცხოვრებლები, რომელნიც ამ ათის წლის წინად აიყარენ და ოსმალეთში გადასახლდენ, ისევ ბრუნდებიანო. ყოველი ქართველისათვის ეს ამბავი სასიამოვნოდ უნდა დარჩენილიყო. ეს შემთხვევა გვარის მოულოდნელს შეძენას და გაბედნიერებას მოასწავებს. იგი მიემგვანება კერძო ოჯახის ხელმეორედ გაძლიერებას და აღორძინებას.

წარმოიდგინეთ ოჯახში სამი ძმა კაცი, სამივე კარგი მუშა მარჯვე და ერთმანეთის ხელის შემწყობი. ერთ დღეს ერთი ამ სამ ძმათაგანი სადღაც გადიკარგა. რა დაემართებოდა ოჯახს?.... — დამცირება, ღონის მოკლება, დაძაბუნება, სისუსტე და მტრის გასახარებელი საქმე. სწორედ ამ გვარი ამბავი მოგვივიდა ქართველებს ამ ათის წლის წინად, როცა აჭარის, ლივანის, მურღულის,ართვინის და ზოგიც ქობულეთის მცხოვრებლები დაიძრენ თავიანთ ყოფა-ცხოვრებითა, აბარგდენ და გაგვექცენ. მერე, სად? ჩვენ ძველ მტრებთან, ჩვენის სარწმუნოების მდევნელებთან. ქართველი თუ ოდესმე იყო სახელოვანი, გულ-ამაყი და მოქადული, უფრო იმითი იყო, რომ იმას თავისებური ქვეყანა ჰქონდა, თავისი ენა, თავისი ქრისტეს სარწმუნოება, თავისებურადაც იცოდა მტერ-მოყვრის დახვედრა. რაკი ერთი კუთხე საქართველოსი, უდიდესი და ძველ დროში უალმატებულესიცა, მოგვგლიჯა წუთი სოფლის სიმუხთლემ, გარეშე მტრის მძლავრობამ და ქრისტეს სარწმუნოებაც დააკარგვინა, მას შემდეგ სულ იმის მწუხარებაში ვიყავით, რომ მტრებმა ძმები მოგვტაცეს და უნდა დაგვებრუნებინა. რადგან ჩვენ თვითონ აღარა შეგვეძლო-რა, დროთა ბრუნვას უნდა გავყოლოდით. ბოლოს მოიწიფდა ჟამი, დადგა დღე ჩვენის მტრის განკითხვისაც. მახმადიანობა მოუძლურდა და ხელში იარაღით გამოვგლიჯეთ მტერს დაკარგული ძმები. ჩვენს მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა. ჩვენ გვიხაროდა დაკარგული ძმების გადახვევა, მათი გადაკოცნა... მაგრამ დახე სოფლის სიმუხთლეს!... აკი, ძმებმა ველარ გვიცნეს! „არა, თქვენ ჩვენი ძმები არა ხართო... თქვენ სხვა, სულ სხვა გამხდარხართ, თქვენ ძველი ქართველური ფერი აღარ გდევთ და ვერც გატყობთ ნათესაობრივს მაჯის ცემასაო. ჩვენც, რასაკვირველია, ეს ამბავი გვეუცხოვა; ვიფიქრეთ, ეს სულ სჯულის გამოცვლის ბრალია, ალბად თითონ ისინი გადარჯულებულან და იმიტომ ვერა გვცნობენო.

— არა, ძიავ, არა, — გვიპასუხა ამ ფიქრზე დაკარგულმა ძმამ. მართალია, ჩვენ სარწმუნოება გამოგვაცვლევინეს, მაგრამ არც ისე უგუნურნი ვართ, არ გვესმოდეს, რომ სარწმუნოების გამოცვლა ნათესაურს სისხლს ვერ დაგვიკარგავდაო. ჰხედავთ, ძიავ, დღესაც ჩვენი მამაპაპის ნანგრევი ტაძრების პატივის-

---

*) დუშალიკი — ფეშქაშის მოტანის საჩუქარია.

ცემა გვაქვს. მართალია, მაჰმადიანები ვართ, მაგრამ ჩვენი მამა-პაპების სალოცავები კიდევ გვწამს, მივდიოდით აღდგომას და შობას **სხალთას, ზარზმას, ოპიზას, ბერთას, ჯვირიკას** და მიგვაქვს იქ სანთელი, საკმეველი, წითელი კვერცხები, ვლოცულობთ. როცა ავად გავხდება ვინმე, საწირავები მიგვაქვს იქა დ ჩვენ მამა პაპების ღმერთს ვავედრებთ. არა, ძიავ, ჩვენ გვახსოვს ჩვენი ქართველობა, იქნება ჩვენც თქვენსავით გვიხაროდა ერთმანეთთან დაახლოვება, ერთმანეთთან ისევ შეერთება; მაგრამ დღეს კი ვხედავთ, ძიავ, რომ თუ ჩვენ სარწმუნოება დავკარგეთ, სისხლი, გული და ენა ქართველური მაინც შევინახეთ, ჩვენი მამა-პაპეულობის სასაფლაო მაინც წმინდად დავიცვეთ, იმათი ნაშრომი და ნაკეთები, საცა კი არის, ყოველგან ხელ-შეუხებელად მაინც გვაქვს. როცა იმათ დიდებულ ტაძრების ნანგრევებში შევდივართ, ქუდს ვიხდით; თქვენ კი, ღმერთო დაგვიფარე! სისხლი გაგფუჭებიათ, ენა აღარ გაქვთ. იქნება გაქვთ, მაგრამ რომ აღარა ხმარობთ!... და არხმარება არ-ქონება არის. მოდიხართ და სადაც დაინახავთ ჩვენ მამა-პაპის დიდებულს ნანგრევებს, თხებივით შევარდებით შინ, არც ქუდს იხდით. საცა რამე ნახატია, აფუჭებთ, ზედ-წარწერილს ქვებს იღებთ და მიგაქვთ; თვითონ ნანგრევს მასალად ხმარობთ და ბათუმში სახლებს აშენებთ. ეგ სადაური ქართველობაა? ჩვენ ჩვენი ძველებიდან ჩვეულებად გვაქვს დარჩენილი, რომ სტუმარი კრძალვით უნდა იქცეოდეს სხვის ოჯახში, დედაკაცს ერიდებოდეს; თქვენ კი თხებივით ჩვენს ოჯახში შემოცვინდებით. ჩვენ, ძიავ, გვინდა თქვენი დახვედრა ქართული გულუხვობით, პურ-მარილით, თქვენ კი აქეთ-იქით თვალებს აცეცებთ, ჩვენს ასულებს და დედა-კაცებს თვალებს უბრიალებთ, ეარშიყებით, გინდათ ოჯახი გაგვირყვნათ, სახელი წაგვიხდინოთ, ეგ სადაური ძმობა და ნათესაობაა? სადაური ქართული დარბაისლობაა?.. არა, ძიავ, თქვენ ქართველები აღარ ხართ, არც ქართული ნათესაობრივი სისხლი გაქვთ. როგორც გატყობთ, ძიავ, მარტო ქრისტიანის სახელი დაგრჩენიათ და მეტი არაფერი. სხვა სულ გამოგიცვლიათ, გადარჯულებული უფრო თქვენა ხართ და არა ჩვენო" გვეუბნებოდენ ჩვენი ახალი შეძენილი ძმები. აი, თუ გინდათ, მართალი ეს იყო.



როდესაც ბათუმში შევედით, ყველა იქაური წარჩინებული გვარის კაცები: სანჯახ-ბეგ აბაშიძე, ნური-ბეგ-შარვაშიძე, თავდგირიძეები, ხიმშიაშვილები, ბექან-ოღლი-ბექანიშვილები და ნიჟარაძეები სიყვარულით მოგვეგებენ, დაგვიახლოვდენ. ბათუმში ამართეს მართლ-მადიდებლის სამრეკლო, ააგეს ეკლესია, გაისმა ზარის რეკა ქრისტიანების მისაწოდებლად წირვა-ლოცვისათვის. წარმოიდგინეთ!... ჩვენს დიდისჴნის დაშორებულს ძმებს თითქმის გულმა უფეთქა! იმათ იგრძნეს რაღაც ქრისტეს სარწმუნოების სითბო და ისურვეს ეკლესიაში შესვლა.

მართლაც რამდენიმე ბეგი 1881 წელს, როგორც, მაგალითად, სანჯალ-ბეგ-აბაშიძე და ბექან-ოღლი წავიდენ წირვაზე, შევიდენ ეკლესიაში; მაგრამ რა ნახეს, რა გაიგონეს?.. იმათ ყურს ერთი სიტყვაც არ მოსმენია ქართულად ღვთის დიდება დალოცვა.

ისინი გამოვიდენ ეკლესიიდან შეძრწუნებულნი, გულ-გახეთქილნი და გვითხრეს: „ძიავ, სად არის თქვენი სარწმუნოება, თქვენი წირვა-ლოცვა? რატომ ვერ გავიგონეთ?.. რატომ მოგვატყუეთ, ჩვენ რად გვინდოდა უცხო ენაზედ ფეხამბერ *) ქრისტეს დიდება?.. ერთი ფეხამბერი ჩვენცა გვყავს, დიდი მაჰმადი.. ჩვენ გვინდოდა ქართულად გაგვეგონა, ჩვენი მამა-პაპების და იმისი ჩამომავლობის ლოცვა, თვარა უცხო

*) ფეხამბერ არაბულად წინასწარმეტყველია.

ენაზედ, კაი არაბულს ენაზედ, ჩვენც კი ვადიდებთ ჩვენს ფეხამბერს. არა, ძიავ, თქვენ რომ აღარ გქონიათ თქვენი მამა-პაპის სარწმუნოება, ჩვენ რეიზა გვიწვევთ, რეიზა გვაცდენთ?..".

ის იყო და ის. ამის მეტად ჩვენს დიდი ხნით დაკარგულს და ახლად ნაპოვნს ძმებს ჩვენთან აღარ გაუვლიათ.

ამას გარდა სადაც კი ჩვენებური კაცი დააყენეს გამგედ და მმართველად, ყველგან თავის დარაჯებს და ყარაულებს უბრძანებდნენ: „დაიჭირეთ, შეჰკარით, ზეკუცია ჩაუყენეთ..."

ამას გარდა ჩვენი ქართველები არაფერს საძაგლობას არ ერიდებოდნენ: არც უზნეო მოქმედებას, არც უწესოს. ამიტომაც ბათუმის მხრის მაჰმადიანებმა ჩვენზე გული აიყარეს და გადასწყვიტეს: აქ დარჩენას, ისევ ოსმალეთში სიკვდილი გვირჩევნიაო. ამას დაერთო თვითონ მოლების ფანატიკური ქადაგება და დაპირება, რომ ფადიშაჰი იმათთვის მიწა-წყალს ამზადებს მშვენიერს ორდუს ქვეყანაშიო და ახალ სახლ-კარის ასაგებად ფულებსაც დაგირიგებთო.—აი, ამ გარემოებამ აბარგა ამდენი ხალხი და გახადა უბედურად ვისი ბრალია?... სულ ჩვენი ქართველების და ჩვენი უხეირობის, ჩვენი სიმუხთლის და ჩვენი ზნე-დაცემულობისა. სირცხვილი არ არის, ბათუმის ქალაქში უკანასკნელი ექვსი ათასი სული ქართველია და ერთი ეკლესია არა აქვთ, რომ წირვა-ლოცვა და ღვდელ-მოქმედება ქართულს ენაზედ იყოს. ნუ თუ ამდენ ქართველ ქართლ-მადიდებელს ერთი ეკლესიის შენახვა არ შეუძლიანთ? რატომ ბათუმში არ უნდა ისმოდეს ძველი ქართული გალობის კილო, რომლითაც ასე განთქმული იყვნენ გურულები. გუგუნავა, გურიელი, თავდგირიძე თაყაიშვილი, ყველანი ახლა ბათუმის მცხოვრებნი გამხდარან და თავიანთ განთქმული „დვრინი" და „კრინი" კი დაივიწყებიათ, რომ ამით განაშვენონ ქართული წირვის წესი, მოულბონ გული თავიანთ მეგვარეებსა და მეზობლებს.

ათის წლის გადაკარგული ძმები ისევ დაგვიბრუნდნენ... ვინ წარმოიდგენს იმ განსაცდელს, რაც ამ უბედურებს უნდა დატყდომოდათ თავზედ უცხო-ქვეყნებში ხეტიალითა, რამდენი ავადმყოფობა, სიმშილ-წყურვილი და სიკვდილი უნდა გადახდომოდათ თავზედ? აი, ახლა უნდათ ამათ ხელის შეწყობა. აბა, ვნახოთ, რამდენი გულ-მოწყალებისა და მფარველობის გამოჩენა შეგვიძლიან, რომ ამ გაჭირვებულს ხალხს ცოტად მაინც დავავიწყოთ უწინდელი გულ-ნაკლულობა, შევითვისოთ, შევიტკბოთ .. აი, მაშინ ისინიც აღარ მოგვერიდებიან და სიამოვნებით მოისმენენ ჩვენს ძველებურს ტკბილს ქებათა-ქებას უზენაესისადმი. მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება ქართული ენაა იმათი გულისა და სულის მომგები. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშ მოციქულებს რაღად ენდომებოდათ სულის-წმიდის მოვლენა სხვა-და-სხვა ენაზე სალაპარაკოდ? განა ებრაული და ბერძნული ენით ვერ შეიძლებდნენ ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებას?

მე მოგივლენთ—რქვა უფალმა თვისთა მოწაფეთა, სულსა წმიდასა, რომელი გასწავებს სხვა-დასხვა ენასა და „წარვიდოდეთ და მოიმოწაფებდეთ ყოველთა წარმართთა და ნათელს სცემდეთ მათ..."

სხვებრ ღმერთმან დაგვიფაროს ამიერითგან იმისთანა მისიონერებისაგან, რომელნიც, დიდი ხანი არ არის, რაც ამტკიცებდნენ: აჭარა-ლივანაში „პოდვორიები" გავმართოთო.

ამითი ხალხი ხელ-მეორედ დაფრთხება და სხვა არაფერი გამოვა.

გ. წერეთელი

---

## ბედი ჩვენის ბავშვებისა

### წერილი პირველი

განათლებულ ქვეყნებში თითქმის ყოველგან გამოანგარიშებული აქვთ, რამდენი ადამიანი—ქალი და კაცი—კვდება წელიწადში და რამდენი იბადება მათ ნაცვლად და იზრდება. ისიც გამოკვლეული აქვთ, რამდენი იბადება საღი და რამდენი სნეული, რამდენი მათგანი უდროვოდ ესალმება წუთი-სოფელს და რა არის მიზეზი ამ სამწუხარო და სავალალო მოვლენისა. ამ გვარი ანგარიშიდან, ანუ, როგორც სწავლულები უწოდებენ, სტატისტიკური ცნობებიდან დარწმუნდნენ რომელი ხალხის რიცხვი მატულობს თანდა-თან და რაოდენად, ანუ, პირიქით რაოდენად კლებულობს ეს რიცხვი. ამ გარემოებას ძლიერ დიდი ყურადღება აქვს ახლა მიქცეული, რადგანაც წინადვე იციან, რომ ყოველი ხალხის მომავალი ბედი, ბედნიერება და არსებობაც კი ახალ თაობის სიმრთელეზედ და სიკეთეზედ არის მტკიცედ დამოკიდებული.

ჩვენ, რასაკვირველია, ასეთი ცნობები არა გვაქვს ქართველების შესახებ, მაგრამ ვინც კარგად იცნობს ჩვენი ხალხის ახლანდელ ნივთიერსა და გონებითს მდგომარეობას საზოგადოდ და წარმოიდგენს ჩვენი ბავშვების ბედს, ის ადვილად შეიძლებს გამოუანგარიშებლადაც მიხვდეს, რა სამწუხარო სურათს გვი-

ხატავს თვალ-წინ ეს ახლანდელი ცხოვრება, რა უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენი შვილების ბედი და ან რას უნდა მოელოდეს ხალხი მომავალში, თუ არ გაუმჯობესდა როგორმე ამ მხრით ჩვენი ცხოვრება.

რადგანაც მამა-პაპური ანდაზა ამბობს: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“, ამიტომ უპირველეს ყოვლისა ჩვენი მშობლების ავკარგიანობას შევეხოთ და გავსინჯოთ.

უმრავლესობა ჩვენი მშობლებისა სრულიად უმეცარია იმის შესახებ, თუ როგორი პირობებია საჭირო, რომ ადამიანი სულითა და ხორცით საღი გაჩნდეს, აღორძინდეს დედის გვამში, იშვას და აღიზარდოს, და ამიტომაც არავინ მათგანი ამ გვარ პირობებს ყურადღებას არ აქცევს.

განათლებული ადამიანები, დიდი ხანია მიხვდნენ, რომ საღი და ჯან-მთელი ყმაწვილი მხოლოდ მაშინ ჩნდება ანუ ისახება, როცა მისი მშობლები თვითონ საღნი არიან სულითა და ხორცით. ამიტომაც შეუღლების დროს დიდი ყურადღება აქვთ მიქცეული საქმროსა და სასძლოს თავიანთ სიმრთელეზე, და ხშირად ექიმსაც დაეკითხებიან ხოლმე. ჩვენში კი ამ გვარ გარემოებას ყურადღებას არავინ აქცევს.—ქალის გაუთხოვრად დარჩენა ჩვენში პატრონებს სათაკილოდ მიაჩნიათ და ამიტომ რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს მას, რაც გინდა სუსტი ანუ სნეული იყოს სულით, გინდ ხორცით, მაინც დიდი სიამოვნებით გაათხოვებენ ხოლმე, თუ საქმრო უშოვეს და ვინმე მახეში გააბეს. იმას კი არ დაგიდევენ, რა ცუდი შედეგი მოსდევს ამ გვარ შეუღლებას; ისინი სრულიად იმას არა ჰფიქრობენ, რომ თავიანთ ქალსაც აუბედურებენ, სიძესაც და მათი შვილების ცოდვაშიაც ცვივდებიან, რადგანაც ყოველ გვარი სნეულება, როგორც ხორციელი, ისე სულიერი, გადადის მშობლებიდან შვილებზე, შვილიშვილებზე და ხშირად შთამოებაშიაც რჩება. აქედან ადვილი მისახდომია, რომ უძლურ მშობლებს საღი შვილები ვერ ეყოლებათ და რომ ასეთი მშობლები მამულს ჯან-მთელსა და სასარგებლო შვილებს ვერ მისცემენ.

შეუღლების დროს ჩვენში არც ხნიერობას აქცევენ ხოლმე ჯეროვან ყურადღებას: ხშირად მოხდება, რომ მშობლები, ზოგიერთი მოსაზრებისა გამო, ახალგაზრდა ქალს უნებურად აძლევენ მოხუცებულ კაცს. ამ გარემოებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს შთამომავლობის ჯანმთელობისათვის, რადგანაც მოხუცებულსა და სუსტს მამას არასოდეს ჯან-მთელი შვილები არ ეყოლება.

ამას გარდა სრულიად საღი ყმაწვილი სულითა და ხორცით ვერ გაჩნდება მაშინ, როცა რომელიმე მშობელთაგანი საღსა და ფხიზელს მდგომარეობაში არ იმყოფება დაახლოვების დროს. თუ მაგ., მამა ნასვამია იმ დროს, ყმაწვილი გონებით საღი არ გამოვა.

მიუხედავად ამისა უმეცარი მამა-კაცი ხშირად უფრო იმ დროს ესწრაფება მეუღლესთან დაკავშირებას, როცა მთვრალია და რასაკვირველია იმას აღარ ფიქრობს, რა ცუდი შედეგი მოსდევს ამ გვარს მის მოქმედებას. ჩვენ მოსწავლე ყმაწვილებთა შორის, სამწუხაროდ, ხშირად შეხვდებით ისეთ გამოლენჩებულსა და ჭკუა-დაფანტულს ბავშვებს, რომელთაც გაკვირვებაში მოჰყავხართ; ფიქრობთ და ვერ მიმხვდარხართ, რა არის მიზეზი ასეთი სამწუხარო მოვლენისა. მთვრალი ადამიანისაგან გაჩენილ ბავშვს, ამას გარდა, უსათუოდ თან დაჰყვება მამის ცუდი და მავნე უხასიათობაც. ადრე თუ გვიან, ეს უხასიათობა უსათუოდ გაიღვიძებს ყმაწვილის აგებულებაში და, თუ კარგ გარემოებაში არ აღიზარდა, შემდეგ ვნებად გადაექცევა და კიდეც დაიმონებს.

დედის გვამში ადამიანის აღორძინება და აღზრდა დედის ცხოვრების პირობებზეა დამოკიდებული, რადგანაც იგი დაბადებამდის დედასთან არის დაკავშირებული და ორნივე ერთი სიცოცხლით ცხოვრებენ. ზოგიერთი უგუნური დედა, სხვა-და-სხვა მიზეზებისა და მოსაზრების გამო, თვითონვე ძალად უსპობს დაბადებამდის სიცოცხლეს თავის ნაყოფს. მაგრამ ეს ისეთი უგუნური, ბუნების წინააღმდეგი, და ყოველი მხრით შეუწყნარებელი ბოროტ-მოქმედებაა, რომ ამ გვარ დედებზედ ლაპარაკი საჭიროდ არ მიგვაჩნია. ჩვენ სულ სხვა გარემოებას მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას.

თუ ფეხ-მძიმე დედაკაცის ცხოვრება კეთილი გარემოებით არ არის გარე-მოცული, შეუძლებელია მაშინ მისმა ნაყოფმა იხეიროს, აღორძინდეს და, თუმცა დაბადებამდის არ მოესპო სიცოცხლე, საღი ყმაწვილი დაიბადოს.

ამ გვარ პირობებს შეადგენენ: სულიერი და ხორციელი სიმშვიდე, მარგებელი საჭმელ-სასმელი, წმინდა ჰაერი, სუფთა სადგომი, ხალვათი ტანისამოსი, დრო გამოშვებითი მოსვენება (ძილი) და ზომიერი მოძრაობა. ახლა წარმოიდგინეთ, როგორი წინააღმდეგი პირობებით არის გარემოცული უმეტესი ნაწილი ჩვენებური დედაკაცებისა და მაშინ ადვილად მიხვდებით, რომ ამ მხრით ჩვენი ცხოვრება სანუგეშოს არას გვიხატავს. ჩვენებური დედა-კაცი ორსულობის დროს იმ გვარსავე მდგომარეობაშია, როგორც ორსულობამდის. უმეცრებისა და სიღარიბისა გამო, არც თვითონ ზრუნავს თავის თავზე და არც სხვანი უგდებენ ყურს მის მდგომარეობას, მაშინ როდესაც საკმაოა ამ გვარ საშიშ მდგომარეობაში ერთი უბრალო მიზეზი, ერთი რამ უკუღმართი შემთხვევა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დედაც დაიღუპოს და შვილიც. ამიტომაც ჩვენში ძრიელ წოდებული „მუცლის მოშლა“ სრულიად ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენს და თითქმის არაფრად მიაჩნიათ. ჩვენ დარწმუნებით შევვიძლიან ვთქვათ, რომ, ბევრი ყმაწვილი ამის გამო დაბადებამდის იღუპება; მაგრამ, ვთქვათ, ნაყოფი შემთხვევით უვნებლად აღორძინდა დედის გვამში, გაიზარდა და დაბადების დრომაც მოაღწია. კეთილი, თუ მშობიარობამ ბედნიერად ჩაიარა; მხოლოდ ვინ არ იცის, რომ ძლიერ ხშირად დაბადება ძნელდება და თუ ნასწავლი და გამოცდილი ბებია არ დაესწრო მშობიარეს, ყმაწვილი და ბევრჯერ თვით მშობიარე დედაც იღუპება. განათლებულ ქვეყნებში და ქალაქებში არა თუ მშობიარობის დროს, არამედ დიდი ხნით წინადვე მოიწვევენ ხოლმე გამოცდილს ბებიას, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ორსულ დედაკაცს და მშობიარობის დროს ყოველ საშუალებას ხმარობს, რათა ბედნიერად გათავდეს იგი. თუ მშობიარობა, რომლისამე მიზეზისა გამო, გაძნელდა, მაშინ გამოცდილ და ნასწავლ ექიმებსაც მიიწვევენ ხოლმე. ჩვენში?.. ჩვენში მშობიარე დედაკაცის და ყმაწვილის ბედიც ან სულ ალალ-ბედზეა მიგდებული და ან კიდევ სოფლის უმეცარ ბებიების ხელშია. ამიტომაც არის, რომ ჩვენში ისე ხშირად იღუპებიან საბრალო ბავშვები და ბევრჯელ დედებიც თან გადაჰყვებიან.

წყალტუბელი

## სიყვარულს

აწმყოზე სრულად გამიტყდა გული,
წარსული ზიზღით მაგონდებოდა
და მომავალიც ვერარა ნუგეშს,
ვერარა იმედს ვერ მპირდებოდა.

თავს უსარგებლოდ ვრაცხდი ქვეყნისთვის,
მთელს ჩემს სიცოცხლეს ვთვლიდი არარად;
ფუჭად მიმაჩნდა ყოველი წამი
და დავეძებდი სიკვდილსა მარად,

როს სიყვარულო, შენ შემიპყარი,
გარდაჰქმენ სრულად ჩემი არსება;
კვლავ მომეც ძალი მაცოცხლებელი,
კვლავ მოანიჭე ჩემს სულს ღვთაება;

კვლავ დაუბრუნე ჩემს გულს იმედი,
ჩემს ბნელ სიცოცხლეს სხივი კვლავ ჰფინე
და კვლავ გამხადე კაცად, ღვთის ხატად;
კვლავ განმაახლე, კვლავ აღმადგინე!

ასე ყვავილსა დამზრალს გოლვისგან,
კვლავ განაცოცხლებს ციური ნამი,
კვლავ დაუბრუნებს თავის მშვენებას,
კვლავ დაუდგება მას ტკბილი ჟამი!

დუტუ მეგრელი

## ვარძია

ფარძამეთის წყალს ზემოდ არის კლდე, რომელშიაც გამოკვეთილია ვარძიის მონასტერი. ეს ადგილი ეკუთვნის ოცხეს (ახალციხის მაზრასა) და უჭირავს სამხრეთის კუთხე ოცხისა მტკვრის დასავლეთით. ვარძიის მონასტრის მიდამოს ასაწერად მე მოვიტან რამდენსამე ადგილს ჩვენის თანამშრომლის ი. ალხაზაშვილის დღიურიდან:

„სოფელს წუნდიდან რომ გამოვედით, ჩვენ ავყევით მშვენიერს ბაღნარს და შემდეგ შევედით მტკვრის პირად ერთს ვიწრო ხეობაში, სადაც აქა-იქ მრავალი კლდეები იყო ამართული. ფერდობზე ეყარნენ დიდ-დიდი ნამზვლევები კლდისა, თითქოს, რაღაც გაქვავებული ქალაქის ნანგრევებიაო. აქ ერთ კლდის თავზედ აიმართება დიდი ციხე თმოგვისა, ოდესმე სამშობლო კუთხე თამარ მეფის დროის სახელოვანის მწერლის სარგის თმოგველისა. ნახევარი საათი ვიმგზავრეთ ამ ხეობაში, მერე გავედით ხიდზედ მტკვრის მარცხნით, სადაც მდინარის პირად ხეხილიანი ბაღნარი შეგვხვდა და მივადექით ვარძიის კლდის ძირსა. ეს კლდე არის კედელსავით ამართული, ასი საჟენი სიმაღლე. ამ კლდეებშია გამოკვეთილი მღვიმეები, რიცხვით შვიდასამდე. ჩვენ შევუდეგით სავალ გზით და მივადევით მღვიმეებს, რომელნიც ოდესმე სავსე ყოფილან ბერებითა; აქ სანამ მღვიმეებში შევიდოდით, დაგვხვდა სამრეკლოს ნანგრევი, რომელიც მოცისფერო ქვით ყოფილა აგებული. სამრეკლოს ქვეშ ალაყაფის კარებია. გავედით თუ არა ამ ალაყაფის კარებში, წინ მოგვეგებნენ ერთი ბერი და იქაური მონასტრის მცველები. აქ ჩამოვხტით და ბერი წაგვიძღვა ვიწრო ბილიკზედ. ჩვენ უნდა ავსულიყავით სულ მაღლა მღვიმეებში. აქ შევედით ერთ ვიწრო ჭიშკარში და წინ აგვეყუდა თვით მონასტრის კედელი. მოწიწებით შევდგით ფეხი ეკლესიაში. ბნელოდა. ავანთეთ სანთლები. ჩემი ყურადღება მიიქცია შიგნით კედელზედ გამოხატულმა თამარის სახემ. ცოტას ხანს ვილოცეთ და შემდეგ გამოვედით ბინაზედ წასასვლელად. თვით მონასტრის დაკვირვებით მოხილვა გადავდევით მეორე დღისათვის. ბერი წაგვიძღვა ერთს მოშორებულს მღვიმეში, რომელიც მდებარეობდა მაღლა კლდის მეხუთე სართულში...“

„ვარძიის მონასტერიო—სწერს ბატონიშვილი ვახუშტი—არს კლდესა შინა გამოკვეთილი სენაკ-პალატებითურთ და მასშინა აღშენებული 61 მეფის გიორგისაგან და შესრულებული თამარისაგან. ესე შემკული იყო საეკლესიო სიმდიდრითა და ყოველის წესიერებითა. დაფლულნი არიან 61 მეფე გიორგი, 75 მეფე კონსტანტინე და სხვანიცა, არამედ აწ ცალიერი“.

დაწვრილებით აღწერილობას ამ მონასტრისას გადავდებთ შემდეგ ნომრისათვის, როცა გიორგი მესამის, დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოფლის ბურდუხანის და თამარ-მეფის ნახატები იქნება აღბეჭდილი. ეს სურათები, ფოტოგრაფიით გადმოღებული, გადმოგვცა ი. ალხაზიშვილმა, რომელსაც დიდს მადლობას უძღვნის „კვალის“ რედაქცია.

ამ ჟამად კი ჩვენ გათავებთ ამ მონასტრის აწერილობას სპარსეთის ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის სიტყვით, რომელიც იყო თანამედროვე შაჰ-თამაზისა და შაჰ-აბასისა. თვით მონასტერი გარძიისა დაუქცევია შაჰ-თამაზს და წაუღია მისი აურაცხელი სიმდიდრე, როგორც ქვემოდ მოხსენებულიდან დაინახავს მკითხველი.

„....რამდენიმე წარჩინებული ქართველი თავის ამალით შეიხვეწნენ მიუდგომელს კლდის მღვიმეებში, სახელად „დერმარუკილისია“ (რომელიც ქართულად ითარგმნება თამარის ეკლესია). იმათ წინაალმდე თამაზმა გაგზავნა ბედრ-ხან-სულტან-'ხიად-ოღლი, რომელმაც აიღო ეს ადგილი, გაცნი შემუსრა მახვილით, როგორც ჩვეულება იყო, დედაკაცნი და ჩვილნი ტყვედ წაიყვანეს, და დიდებული ეკლესია, რომელიც იქ იპოვება, გაძარცვეს და იავარ ჰყვეს ყოველი მისი მდიდარი სამკაული და ძვირფასნი ნივთნი. ეს ეკლესია სწორედ საკვირველებაა კაცის ხელით ანაგები. იქ იყო ერთი კოშკი კლდისაგან გამოკვეთილი ათი წყრთა სიმაღლე და შიგ ეკლესია აგებული; თვით კოშკში ოთხი გძელი და განიერი დარბაზი; მათი კ დლები შიგნით და გარეთ სულ მოხატული. შუა დარბაზში იდგა სამეფო ტახტი, რომელზედაც ესვენა ხალასის ოქროს ჩამოსხმული დიდი ხატი, შემკული ძვირფასი თვალითა და მარგალიტითა. ხატს ჰქონდა თვალები ჩაყენებული ლალისა. თითო ლალი ღირდა ორმოც-და-ათ თუმნად. ეკლესიის გარეთა ჰქონდა საიდუმლო გვირაბი, კლდეში გამოკვეთილი, ასორმოც-და-ათი წყრთა სიგრძე, რომელიც ადიოდა ეკლესიის ბანზედ. იქ იყო კლდეში ორი სადგომი დასახიზნავად. წინ რკინის კარები ჰქონდა შებმული. შაჰ-თამაზი შევიდა იქ; გამოიყვანა ოცი მღვდელი, იქ დამალული, და თავი წარკვეთა. ოც ფუთიანი ზარი ბრინჯაოსი გატეხეს, ოქროსა და რკინის კარები აჰგლიჯეს დარბაზებს და თამაზმა თავის სამეფო საუნჯის გასამდიდრებლად წაიღებინა; ამასთანავე ეკლესიიდან და დარბაზებიდან გამოატანია ურიცხვი სიმდიდრე ოქრო-ვერცხლისა, თვალისა და მარგალიტისა“. (III-e expédition; 958-H.—1551. Addition V par Brosset).

(შემდეგი იქნება)

## ხუმრობა

### საოცარი მსგავსება.

მოგეხსენებათ, რა ხუმარა, რა ოინების ჩამდენი იყო ძველი დროის ოხუნჯი, განთქმული მოლა-მასრადინა.

მაგრამ მაზედაც კი ერთხელ ახდა ქართული ანდაზა: „ნუ დასცინი სხვასაო, გარდაგხდება თავსაო.“

ერთხელ მოლა-მასრადინა გაეიდა სალაყბოზედ და ხუმრობით ხმა-მაღლა დაიწყო ძახილი: ხალხნო და ჯამაათნო! ჩვენს სარუხანას უგემრიელესი ფლავი გაუკეთებია და ყველას, ვინც მოვა, სულ მუქთად აჭმევსო. გამოცდილმა ადამიანებმა იფიქრეს: რას ბოდავს ეს ჩვენი მასრადინა! სარუხანამ უგემური ბაკლის გაკეთების მეტი არა იცის რა და უგემრიელესს ფლავს როგორ მოამზადებდა და იმასაც მუქთად დასარიგებლადაო, და ადგილიდან ფეხი არ მოიცვალეს. თავაქალა ხალხმა კი მაშინვე დაიჯერა, იგრიალა და სულ ფაცხა-ფუცხით გაეშურა სარუხანასაკენ. მოლა-მასრადინამ უცქირა, უცქირა ამ სურათსა და იფიქრა: ეს ამოდენა ხალხი რომ გარბის, იქნება სარუხანა მართლა მუქთად ურიგებდეს გემრიელს ფლავსაო. აიკრიბა ჩოხის კალთები, მოჰკურცხლა და სხვებს გაუსწრო, პირველი კერძი მე მერგებაო. მაშინ ჭკვიანებიც შესცდენ, სთქვეს: ვაჟო, უთუოდ ფლავის ამბავი მართალია, თორემ ჩვენი მასრადინა რად გაიქცეოდაო, და თითონაც სარუხანასაკენ დაიოთხეს. მიირბინეს გაოცებულს სარუხანასთან; მაგრამ რის ფლავი, რის ჩლავი: სარუხანა ჰყიდდა მხოლოდ უნელებელს და უგემურს ბაკლას. დარჩა ამდენი ხალხი პირ-ცარიელი. მოტყუვდა სასაცილოდ ხალხი და ყველაზედ სასაცილო კი თვით მოლა-მასრადინა გახდა.

ვინ იფიქრებდა, თუ ეს სასაცილო ოინი, ფსიხოლოგიურის მხრივ მეტად შესანიშნავი, თავზედ დაატყდებოდა ჩვენს დარბაისელს „ივერიას“, მაგრამ მოუფიქრებელი მოხდა, მოულოდნელი აღსრულდა.

„ივერიამ“ შეჰკივლა: ჟორდანიას თორმეტის წლის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავს და დაუჰზადებია ისეთი ისტორიული საჭმელი, რომ ჭამით ვერ გაძღებით, სული და გული გაგინათლდებათ და შიგ სარკესავით დაინახავთ ჩვენის ხალხის წარსულს, აწ-მდგომს და მომავალსაო. ამ საოცარი საჭმლის „დასაკვეთად“ მსურველი უნდა გამოეშუროს ჩვენის რედაქციისაკენ და მოარბენინოს სამი მანეთი საწირავადაო. ფხიზელმა ადამიანებმა უპასუხეს: თქვენი თავიც მოგიტყუებიათო. სხოლასტიკოსისაგან ვის გაუგონია გემრიელის ისტორიულის საჭმლის მომზადებაო. ცუნცრუკა ადამიანები კი მაშინვე აპილპილ-

დენ, მოკურცხლეს რედაქციისაკენ და ცერცვეით დააყარეს სამ-სამი მანეთიანი საწირავები. რედაქციამ უცქირა, უცქირა ამ წვიმას ფულისას და იფიქრა: იქნება მართლა ჩვენს სხოლასტიკს გემრიელი რამე-შეუმზადებიაო და თვითონაც აჰყვა ფეხის ხმას. ჯერ დაოთხა თავის რედაქციისაკენ ფეხ-მარდმა სტეპკომა, მას ფეხ-და-ფეხ მიჰყვა გიგა, გიგას კვალზე მიირბინა საშამ, საშას კვალზე პაატამ, მაგრამ სხვებსავით ფული როდი მიარბეინეს, ხელ-მოუწერელი ბარათი მიაჩეჩეს ბულალტერს რედაქციისას. ბოლოს გასწყრა ღმერთი და დაიძრა თვითონ ის... ვინ?.. დაიძრა ბურჯი, უდინჯესი, მიაბოტა რედაქციაში და გამოაცხადა თავის საკუთარს გაზეთში: „ჩვენ, გაზეთის „ივერიის“ რედაქტორმა მივიღეთ „ივერიის“ რედაქტორისაგანვე ორ-კეცი შესაწირავი ჟორდანიას საისტორიო ფლავის ორის კერძის „დასაკვეთადაო“. მარცხენა ჯიბიდან ამოიღო ექვსი მანეთი და ჩაიდო მარჯვენა ჯიბეში.

კარგი ოინია, განა? მაგრამ ყველაზედ ვერ გასჭრა ამ ოინმა. ტფილისი კარგად იცნობს ახალ მოელენილს მეფლავესა და ბრწყინვალე ბურჯის მაგალითმა მასზედ იოტის ოდენა გავლენა ვერ იქონია. ერთი ტფილელის შესაწირავიც არ მიემატა ჟორდანიას ქისას, შორეული მთა და პროვინციალური ქართველობა კი, რომელთაც ტფილისის ხატების არაფერი გაეგებათ, გაიტაცა წახედულობამა; ბევრმა ძუნწმაც კი იფიქრა: ეჰე, ეტყობა, ჟორდანიას ფლავი არაკი არ არის, რომ ბურჯიც დაიძრაო და დააყარეს საწირავები: ნადიაკვნარებმა, სადიაკვნოებმა, დიაკვნებმა, მწერლებმა, ტელეგრაფისტებმა, ნატისუსლიანმა მასწავლებლებმა და სხვა ზოგმა წინ დახედულებმაც.

ელიან ახლა მოუთმენლად დამკვეთელნი ჟორდანიას ფლავსა. ეს ჩვენი ახლად მოელინებული მეფლავე კი თავისი საარაკო საჭმლის დარიგებას მეოცე საუკუნეში აპირებს და ანგარიშითაც იქცევა: რამდენსაც უფრო დააგვიანებ, იმდენი უფრო მეტი შესაწირავი მომივაო, ფიქრობს ჩვენი სარუხანა, უკაცრავად, ჟორდანია. ეს ერთი მოსაზრება. მეორე უფრო კიდევ საყურადღებოა: დაკვეთილი საჭმლის დარიგებამდე საუკეთესო მეფლავის სახელი მექნებაო და შემდეგ კი უნელებელის ბაკლის მკეთებლისაო, ამბობს თავის გულში ჟორდანია, უკაცრავად, სარუხანა, და აგვიანებს, რაც კი შეუძლიან, დაკვეთილი საჭმლის დამზადებასა და დარიგებასა...

ხუმარა

---

# მარიამ

(ლეგენდა)

როდესაც გრემის ქალაქი ჰყვაოდა და შემკული იყო ურიცხვი სასახლეებით, ეკლესიებით, ბაზრებით და სხვა-და-სხვა შენობებით,—ბიზანტიის ხუროთმოძღვრების ხელოვნება ამშვენებდა და გარს ეხვია ტურფა წალკოტები, ალაგ-ალაგ შადრევნები გადმოჰქუხდა; აგრეთვე ამოყვანილი აუზები ცოცხალი თევზებით იყო სავსე ამ უზარ მაზარ ქალაქზედ ასე იტყვიან: „დილით ორასი აქლემის საპალნე ბზის კოვზები შემოიტანეს და საღამოზედ მუშტარმა ერთი ვეღარ იშოვნა, სულ ისე დაუიდულიყოვო“. ამბობენ, ქეთევან დედოფალმა შაჰაბასიდან მოსულს თავის შვილებს, ამ გრემის ქალაქში თორმეტი ათასი ყმაწვილი ქალი წინ მიაგებაო.

სწორედ ასეთი აყვავებული იყო გრემის ქალაქი იმ ჟამად, როდესაც უეცრად თურქისტანის შეიხი მთელი ჯარით შემოესია კახეთს, გამოვიდა ალაზანს და დადგა. რაკი საქართველოს მეფემ გაიგო, ისიც ჯარით გაბრძანდა გრემის ქალაქიდან და იმათ მოპირდაპირედ დაუდგა. შეიქმნა ბრძოლა, რამდენჯერმე შეიბნენ და ორისავე მხრიდან მრავალი ხალხი მოისრა. მაშინ მეფე ფიქრსა და საგონებელში ჩავარდა; დიდებულ საზოგადოებასთან დიდი რჩევა და თათბირი შეექმნა და ყველამ ერთ ხმად გადასწყვიტეს, რომ უთუოდ ვიძლევით, რადგან ჩვენ გამზადებული არ ვიყავით და მტერი კი დიდი მზადებით ასე უეცრად დაგვესხენო. ეს მშვენიერი ქალაქი უთუოდ მაგათი ხელით გაფუჭდებაო. ბევრი არჩიეს, აიღ-დაიღეს და გადასწყვიტეს, შვიდი დღე პაემანი სთხოვონ და ჯარი მოიშველიონ. ასეც აღასრულეს, მაგრამ ყველანი ოხვრასა და გმინვაში იყვნენ.

ვეზირს მერაბ განთქმულაძეს, ღამე ქვეშაგებში მწოლიარეს, უეცრად თავში რაღაც ფიქრმა გაუარა, წამოხტა, ცოლი გააღვიძა, დიდხანს ელაპარაკა და ბოლოს კიდევ უთხრა: „დაგარწმუნებ, ჩემო ელენე, როგორც მე ვხედავ, ჩვენი დახსნის უკანასკნელი ღონე, რაც გითხარ, ესდა არის; გადი ახლა და მარიამს ყოველივე შენ ჩააგონე.“ ელენე ჯერ დიდს უარზედ იდგა, მაგრამ ქმრის გადაწყვეტილი აზრი რომ გაიგო, მეტი ღონე აღარ იყო, უნდა ამის სიტყვას დამორჩილებოდა. გაფითრებული თრთოლვით შევიდა მეორეს ოთახში, მიანათა ტახტთან სანთელი, სადაც ამის გასათხოვარი ქალი უდარდელად ღრმას ძილს მისცემოდა. ელენემ ხელით გაანძრია და წყნარად ჩასძახა: „შვილო მარიამ, აბა, ერთი გაიღვიძე.“ ქალმა თვალები გამოახილა და დედა რომ დაინახა, თავზე ადგა, შეჰკრთა წამოჯდა და ჰკითხა:—რა გინდა, დედი? მიუგო ელენემ:—არაფერი, შვილო, ჯერ გამოფხიზლდი. „მიბძანე, რა გნებავს? გამოფხიზლებული ვარ.“ ელენემ ჩურჩულით ლაპარაკი დაუწყო, რადგან მოახლე იმ ოთახ-

შივე იწვა, რომ იმას არ გაეგონა. მარიამმა დედის ლაპარაკზედ თავი გაიქნია, პირჯვარი გადიწერა და ისევ მიწვა. ელენემ კიდევ მიუგო: „დედაშვილობამ ძილს მალე გაგვითხოვენ, თუ ისე არ მოხდა.“ —კარგი, დედი, ამაღამ ხომ აღარა იქნება-რა და კიდევ ბევრი დრო მაქვს, რომ მოვიფიქრო. ამ სიტყვებს შემდეგ ელენე ისევ თავის ოთახში გამოვიდა.

მეორე დღეს საღამო ჟამს მოკრიალებულ ლაჟვარდ ცაზედ შვიდი დღის მთვარემ გადმოანათა და ვარსკვლავებით ცა მოიჭედა. ყოველ მხარეს სანთლები აენთო. ამ დროს თურქების კარვებისაკენ მიეშურებოდენ ერთი მაღალი ტანის ბრგე, შუა ხნის კაცი, ლაზათიანი შესახედულობისა, მაგრამ უბრალო ტანისამოსით მოსილი და მეორე ტოლომა-წამოსხმული და პირდაბურული ქალი. უთხრა ამ კაცმა:—„კიდევ გეუბნები, მამაშვილობამ, თუ ჩირქი რამ მოსცხებია შენ სახელს, მევე სისხლით გავბან.“ მერმე ხელით დაანახვა:—აგერა, აი, ის კარავია იმისი. თითონ გაბრუნდა და ქალი მარდად მივიდა იმ კარვის კარებთან, სადაც რამდენიმე თურქები შემოეხვია და ჰკითხეს: „ვინა ხარ, რა გინდა?

უპასუხა ამან:—ვინცა ვარ, მე თითონ თქვენს უფროსს უნდა მოვახსენო. მაშინვე ერთი მსლებელთაგანი კარავში შევიდა და შეიხს აცნობა:—ვიღაც ქალსა სურს თქვენი ნახვა და ნებას უბოძებთ? შეიხმა გაიკვირვა და უბრძანა, ქალს ჩემთან რა ენდომება? მაინც, აბა, მოიყვანე. მსახური ისევ გაბრუნდა და ქალი შინ შემოიყვანა. შეიხმა უბრძანა:—ვინა ხარ? რა გინდა? ეს ქალი ალვის ხის მსგავსი ტანით წინ წადგა და მოახსენა:—თუ გსურთ რომ ყოველივე გაიგოთ, ეს მსლებელნი დაითხოვეთ. შეიხმა მოსამსახურეებს ანიშნა გასულიყვენ და თითონ ქალს მიუახლოვდა. მაშინ ამ ქალმა ტოლომა მოიხსნა, პირს გადიხადა და დაიწყო ლაპარაკი: „მე ვეზირის ქალი ვარ, მერაბ განთქმულამისა, სახელად მარიამ მქვიან. როდესაც თქვენ და ჩვენმა მეფემ პაემანი დასდეთ და ომი დაიწყო, რამდენიმე ქალი წამოვედით თქვენ ბანაკზედ ჯარის დასახედავად და მე ჩემდა საუბედუროდ თქვენ დაგინახეთ დანახვაზედ ისეთი ტრფიალება ჩამეჭრა, რომ ველარ მოვისვენე; რადგან ჯერ სიყვარული რა იყო, არ ვიცოდი და ჩემი გული თავისუფალი იყო, ასე ამიყოლია, რომ მე ჩემ დედ-მამას გამოვეპარე და, აჰა, მოვსულვარ თქვენ წინაშე. გსურთ შემიწყნარეთ და გსურთ, ახლავე უბრძანეთ მომკლან, მე თავი გამიწირავს.

შეიხმა მიუგო:—ნუ თუ მაგას სიმართლით ამბობ? ხელი დაუჭირა, სანთელთან მიიყვანა, დააცქერდა, მთლად აენთო, გადაირია და თქვა:—რა არსება ყოფილხარ ეგ განსაცვიფრო ქმნილება?!... ჯერ ჩემ თვალს არ უნახავს მარიამ შენისთანა მშვენიერება, სხვა ქართველი ქალებიც შენ გემსგავსებიან?! ან სად გისწავლია მაგრე წმინდა თათრული?... მარიამმა მიუგო:—ჩვენში დიდი კაცის ქალებს სულ თათრულ ენას ასწავლიან, რადგან ჩვენებური ქალები მიჰყავს ხოლმე ყეენსა. მარიამ ამ ჟამად ჩვიდმეტი წლისა იყო და თუ სადმე ადამიანის მშვენიერება ითქმის და თვალწინ წარმოიდგინება, სწორედ ეს იყო ყოველის მხრით შემკული; დედასაც განგებ მოერთო ფირუზის ფერი ჩიჩაგლიხარის კაბით და ვარდის ფერ ატლასზედ ნაკერ სარტყელ-გულისპირით; თავზედ სახიანი ფრთოლის ლეჩაქი ეხურა და შავ ხავერდზედ მარგალიტით ნაკერი თასაკრავი ეკრა, რომელიც უნამეტნავესად აშვენებდა უიმისოდაც შესანიშნავს მშვენიერებას შეიხიც ჯერ ისევ ყმაწვილი კაცი იყო და თავის ქვეყანაში მშვენიერების სახელი თურმე ჰქონდა დავარდნილი; ამ ქალის ლაპარაკი ამისათვის უფრო დაიჯერა და თავ-მოწონებული ალტაცებით შეჰყურებდა და ამბობდა:—ალბად, ჩემმა იღბალმა მომიყვანა, რომ შეგხვედროდი ამ ძვირფასს საუნჯეს.

მარიამმა მიუგო:—მე ამასა გთხოვ, მცირეს ხნით კი არ იყოს, შეიხო, ეგ თქვენი ჩემდამო ყურადღებით მოპყრობა, საუკუნოდ უნდა შემყოფოთ თქვენთან განუშორებლად. ამ ყმაწვილი ქალის მიხვრა მოხვრამ ჭ ლაპარაკმა სწორედ ალტაცებაში მოიყვანა შეიხი და მოჰყვა ფიცს: ვიდრე ცოცხალი ვარ, არ განგიშორებ და შენ იქნები დედოფალი მთელის თურქისტანისა. შემდგომ დაუძახა მსახურს და უბრძანა: წადი მეკარეს უთხარ, ამაღამ აქ არავინ შემოუშვას, აღარც შენ გაბედო შემოსვლა, ყველანი დამითხოვნიხართ, ტანთაც თითონ მე გავიხდი. მსახურმა თავი დაუკრა და გავიდა. შეიხმა პატარა ხანს გაიარ-გამოიარა და თან სიამოვნების თვალით უცქეროდა მარიამსა. შემდგომ მივიდა, კარვის კუთხიდან ერთი ვერცხლის სურა და თასი აიღო, მიიტანა თავის ლოგინთან, დააწყო, გაიხადა ტანისამოსი, დაუჭირა მარიამს ხელი, გადაიყვანა, დასვა ქვეშაგებთან, თითონ წამოწვა და უთხრა:—აბა, მშვენიერო, ერთი შენი ხელით დამისხი ღვინო, რომ ნეტარებით შევსვა, თუმცა ღვინით ჩემი ეშხზედ მოყვანა საჭირო არ არის; თვით ჩემი გული შენი ტრფიალებით საკირესავით აენთო; მაგრამ მინდა ჯერ აგრე ჩაცმულ-დახურულს გიყურო და მაგ შავის თვალების ცქერით გავძღე, რომ უფრო ხარბად დავეწაფო მაგ კოკორ ვარდის ფერ ტუჩებს. მარიამმა რამდენჯერმე აავსო თასი ღვინით და მიართო, თან რაღაც ხელებს აფათურებდა, და ჯიბისაკენ მიჰქონდა, თითქო რაღაც ენადა და ვერ მოეხერხებინა.

უბრძანა შეიხმა: „აბა, ახლა ერთი ჩემი ხელით ღვინო შენ მიირთვი.“

უპასუხა მარიამმა:—მე ღვინოს არ გაისხლები, თორემ...

— რატომ? თქვენში ქალები ხომ ღვინოსა სმენ?

— მართალია, მაგრამ, მე სიყრმიდანვე ღვინოს არ შევჩვევივარ.

— მაშ აგერ, აი იქ ლანგარზედ ატმები აწყვია, აქ მომიტანე, გამიფცქვნი და მომართმევ. მარიამ წამოდგა და იქით მიბრუნების დროს ჯიბიდან ხელცახოცი ამოიღო, ვითომ ცხვირს იწმენდდა, გამოხსნა და ჩუმად დასაძინებელი წამალი ისე უცებ ჩაყარა თასში, რომ ამ ტრფიალებით გატაცებულმა შეიხმა ვერა გაიგო-რა. ლანგრით ატმები მოიტანა, წინ დაუდგა, ღვინო დაასხა, მიართვა და ღიმილით მოახსენა: „ჩვენში სადღეგრძელოების სმა იციან და თქვენ კი ისე მიირთმევთ, რომ არც კი მადღეგრძელეთ; — მოიტა, მოიტა, შენ სადღეგრძელოს ისე დავლევ, წვეთი არ დარჩეს. გამოართვა, ასწია და გადაულაპა, მერმე გაფცქვნა ატამი, მოთალა და უთხრა: — თუ გიყვარვარ ჩემი ხელით მოკბიჩე. მარიამმა გამოსართმევად ხელი წაატანა, მაგრამ იმან არ დაანება და უთხრა: — არა, არა, ასე ჩემი ხელით უნდა შეჭამო.

— განა ბავშვი ვარ, შეიხო!. მაინც არ მოეშვა, შეაჭამა და თან შეჰხაროდა. მარიამს უნდოდა, როგორმე ლაპარაკში გაერთო, მაგრამ ძილი მოეკიდებოდა და ხან რა უთხრა, ხან რა; მათი ქვეყნის ამბავს ჰკითხავდა და მერმე უთხრა: „შეიხო! მართალია, მე ჩემმა გულმა და სიყმაწვილემ ამიყოლია, რომ ჩემი მეზობლები და თვის-ტომი დავთმე, მაგრამ ეს პირობა კი უნდა გამოგართვათ, რომ ჩემი სჯული არ შემაცვლევინოთ“.

— ბატონი ხარ, ბატონი. აი, ამ სამ დღეზედ ამ ქალაქს ავიღებ და აქედან თქვენს მღვდელს ყოვლის წესით ჩვენ თან წავიყვანთ.“

— ამის პირობაც უნდა მომცეთ, რომ ჩემი დედ-მამა არ დაახოცინოთ.

— დავახოცინო კი არა, ჩემ თავსავით პატივისცემით შევინახავ. ეს სიტყვა როგორც დაასრულა, უცებ თვალები დახუჭა და ძლივს-ღა წარმოსთქვა: — ოჰ, დავითვერ, თუ რა მომდის? ადე, ახლა კი ტანთ გაიხადე. ამ სიტყვის დასრულება და ხვრინვის ამოშვება ერთი იყო. მარიამმა პატარა ხანს კი დააცადა და მერმე განგებ ხელით გაანძრია, რომ გული დაეჯერებინა, წამალმა გაჭრა თუ არა და ჩასძახა: „ასე მალე განა დაგეძინათ“? იმას აღარაფერი აღარა ესმოდა-რა, მაშინ თავის დედის სიტყვა მოაგონდა: „როგორც მკვდარი, ისე შეიქმნებაო“. ელენემ ეს რა იცოდა, თუ შეიხი ღვანოსა სვამდა და იმან მარიამს ვარდის კონა გამოატანა, რომელზედაც დასაძინებელი წამალი ზედ მოაფრქვია, და დაარიგა: — „როდესაც იძინებდეს, იმ დროს ჯიბიდან ამოიღე ვითომ უბეში გქონდა, და უთავაზე; უსუნებს თუ არა, ისე დაეძინება, რომ ვეღარას გაიგებსო და ხელცახოცშიაც გამოუკრა, იქნება წყალში როგორმე ჩაუყაროვო. მარიამმა ვარდის კონაც კიდევ ცხვირთან მიუტანა, მაგრამ იმას გრძნობა აღარა ჰქონდა. მაშინ წამოდგა და ამოიღო თავის მამის ბასრი ხანჯალი, რომელიც კაბას ქვეშ ეკრა. ამოაძრო და დასაკრავად ხელი რომ შეიმართა, ჟრჟოლამ დაუარა ტანში და თქვა: „რა ვქნა? როგორ შევძლო, ჩემი ხელით მოვკლა, როდესაც ციცის კნუტის მოკვლაც კი მაშინებს, არამც თუ კაცისა. არა, რაც უნდა იყოს, მე ვერ გავბედავ. წამოვიდა აქეთ. პატარა რომ გამოსცილდა, კიდევ სთქვა: „მართალია, მაგრამ მამა ჩემთან კი აღარ მიმესვლება. ვინ იცის, ჩემზედ საძრახის რას არ იფიქრებს და თავის ხელით მომკლავს. ეჰ, მომკლას და მომკლას, ჩემი ხელით კაცის მოკვლას ჩემი სიკვდილი მირჩევნია!..“ ამ სიტყვაზედ თვალებიდან ლაპა-ლუპით ცრემლები წამოუვიდა: „ოჰ, ღმერთო! ეს რას სატანჯველში ჩამაგდე?!. მერე ეს რაღა ცოდვის კითხვაა, თავი თუ აქ არ მოიტანე, არ იქნებაო. უეცრად კიდევ შევიძლებდი გვერდში ხანჯალი მემგერებინა და გავქცეულიყავ, მაგრამ თავის გაგდებინება საშინელებაა?!. საცოდავი ეს კაცი, რარიგად მომენდო. უსჯულო რომ არის, განა შებრალება არ უნდა? სწორედ ამის საცოდაობით ტანში ვილევი.“ ჩაჯდა და ორივე ხელები მუხლზედ მიიტანა, თითქოს საფეთქლები ვარდებაო. მცირე ფიქრის შემდეგ კიდევ თქვა: — ღმერთია მოწამე კაცის სიკვდილის სახელის ხსენებისაც კი მეშინიან, მაგრამ რა ვქნა? ამდენი ქრისტეს მოსავი ხალხი თითქოს ყურებში ჩამძახის, — გაბედე! მერე დედიჩემის ვედრება, მამიჩემის ხვეწნა სულ გულს მიღრღნის. არა, ალაბად, ჩემ ბედს ასე გადაუწყვეტია... გაიძრო ხანჯალი, წამოდგა და რაც ღონე ჰქონდა დაჰკრა კისერში; ნახევარი ყანყრატო გადასჭრა, მეორედაც დაუშვა და თავი იქით ისე გადაგორდა, არცკი განძრეულა. მარიამმა თვალებზედ ხელი მიიფარა და როდესაც სისხლით დაიცალა, აიღო ის თავი, გაახვია ხელცახოცში, ხელები დაიბანა, წამოისხა ტოლომა, პირი აახვია და ეს ხელცახოცი ტოლომას ქვეშ დაიჭირა; მოვიდა მეკარესთან და უთხრა: „შეიხმა ახლა გამოისვენა და გიბრძანათ, რომ მე თქვენს ჯარსა და ქეშიკებს გამაცილოთ, ხვალ ბინდზედ კიდევაც აქ უნდა ვიახლო.“ ამათ ეს ლაპარაკი დაიჯერეს და გააცილეს. ამ ქალმა იქით მხარეს გასწია, საიდაც დანიშნულ ადგილს მამა ელოდა. მერაბმა რომ ქალი დაინახა, გულის ფანცქალით ზედ შემოვარდა და უთხრა: „რა ჰქენ, შვილო? მასახელე, თუ შემარცხვინე?“ — ჩუმად, მამი, ჯერ ნუ ლაპარაკობ, გზას გავუშურნეთ და გაიგებ. გამალებულებმა გამოსწიეს. როგორც მიასლოვდნენ თავიანთ ჯარს, მაშინ ამ ქალს მუხლი მოეჭრა, დაეცა და გული შეუღონდა. მერაბმა საჩქაროდ წყალი მოარბევინა და როდის, როდის მოაბრუნა... მერე ამ ქალმა ტოლომიდგან ხელცახოცი გამოიღო და უთხრა: — აბა ნახე, მამი, რა არის. მერაბმა რომ გაშალა და იცნო, ვინც იყო, სიხარულით შეჰყვირა: „შენი ჭირიმე შვილო და შენის მარჯვენისა!..

დღეს შენ დაიხსენ ამოდენი ქრისტიანი ამ უსჯულოს ხელიდან." მივარდა ქალს, გადაეხვია, დაჰკოცნა და მერე ხელი დაუჭირა და მეფის კარავისაკენ წაიყვანა; სპასალარი შეგზავნა და მეფე გააღვიძებინა. ქალს იქ მოაცდევინა და თითონ კარავში შევიდა, მეფეს მტრის თავი წინ გაუგორა და მოახსენა:—ასემც დამხობილა ყოველი თქვენი მტერი, როგორც ჩემის ქალის ხელით ეს დაემხო. მეფე, განცვიფრებული და ზარ-დაცემული ჰკითხავდა: „მერე შენი ქალისაგან როგორ მოხდა და რა რიგად?" მერაბმა მოახსენა, როგორც დარიგებით ქალი გაეგზავნა. მეფე დიდად გამხიარულდა, წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და დაუწყო მერაბს გამოკითხვა: „ვისა ჰყავს შენი ქალი, რომ სამაგიეროდ დავაჯილდოვო."—არავის, თქვენო დიდებულებავ. მართალია, დანიშნული მყავნდა გიორგი კეისრიშვილზედ, მაგრამ მოგეხსენებათ ის საცოდავი ყმაწვილი დღევანდელს ომში და მე მანამ კიდევ იმის ბადალს კაცს არ ვიპოვნი, ნაცვლებს ვერ მივცემ. მეფემ გაიოცა: „განა აგრე ყმაწვილი ქალიც არის, სადა ბრძანდება? რომ მადლობა მოვახსენო."—„აქვე თქვენი კარავის წინ მიცდის." მეფემ სპასალარს უბრძანა: „აბა, მაშ წადი სთხოვე, რომ აქ შემობრძანდეს". მერაბ თითონვე გავიდა და თავის ქალი თან შემოიყვანა. მარიამმა მეფეს თავი დაუკრა და დადგა; მეფე ახლო მიბრძანდა და ღიმილით უბრძანა: „აგრე ყმაწვილმა ქალმა ეს საქმე რა რიგად მოახერხე?"

უპასუხა მარიამმა:—თქვენო დიდებულებავ! მე რაც დედმამამ დარიგება მომცა, ის აღვასრულე და ან თუ კი ჩემი ხელით ცდა და ღონე რამ შემეძლებოდა, ჩემი სამშობლო ქვეყნის დახსნისათვის რადა თავს დავზოგავდი? თუ ვერ შევიძლებდი და მაშინ ჩემ სიცოცხლესაც იქვე დავასრულებდი.

მეფემ რომ მარიამის გონივრული ლაპარაკი მოისმინა და იმის თვალ-ტანადობა გასინჯა, ახლა ის გადაარია ამისთვის, გამოართო ხელი და უბრძანა: „შენი დაჯილდოვება მე ამაზედ მეტი არ შემიძლიან, მომიცია ჩემი თავი და მთელი საქართველოს დედოფლობა. შენ იქნები ამას იქით ჩემი მფარველი." გამოიძრო თითიდან სამეფო ბეჭედი და გაუკეთა. მარიამ სიამოვნისა და სირცხვილისაგან წამოწითლდა, ხმა ვერ ამოიღო და თავი დაბლა ჩაღუნა. მერაბმა მეფეს მოახსენა: „ადიდოს, ღმერთმა თქვენი მეფობა, თუკი მაგდამდის ღირსნი შევიქმნებით და ეგ მოულოდნელი ღვთის განგება იქნება ჩვენზედ!"

უპასუხა მეფემ: „ჩემი სიტყვა სიტყვაა" და უბრძანა მერაბს: „ახლა წაბრძანდი შინ და ეგ ჩემი ამანათი დრომდის ისევ შენ გებარებოდეს". ამათ მადლობა მოახსენეს და სიხარულით გამოსწიეს შინისკენ. მეფემ მხლებელთ უბრძანა: „ახლა კი მოიტანეთ ეგ თავი, ანმაზედ ააგეთ, რომ თურქის ჯარმა თავიანთი შეისი მკვდარი ნახოს და გათენებისას რისხვა ღვთისა დაჰკსცეთ".

დილა ადრიანად შეიქმნა ნაღარის ცემა, ქართველები დაერიენ იმათ ჯარს და მუსრს ავლებდენ. თურქთ რაკი თავიანთ სარდალი მკვდარი ნახეს, ღონე-მიხდილნი გაიქცენ და ქართველებმა იმათი ურდო აიკლეს. შემდგომ მეფემ მარიამზედ იქორწილა.

ბარბარე ჯორჯაძისა

---

## ყეენობის ორშაბათი

### (ქალაქის სცენა)

თათრის მეიდანზე ყეენობის ორშაბათის მოდის ცხვირ-დაშვებული სასამართლოს ბოქაული; შეხვედება ნაცნობი.

დილა მშვიდობისა, მარხვა სინანულისა, ადღეგომა სიხარულისა.

— გმადლობ.

— რა დაფიქრებული მოდიხარ?

— ყეენობაა.

— მერე შენ რა? შენ, შვილო, სუდებნი პრისტავი არა ხარ? ყველას შენი ერიდება, ყველას შენი ხათრი აქვს. მილიონის პატრონს სხვები ფეხ-ქვეშ ფიანდაზად ეგებიან, მდიდრებიც, ღარიბებიც, ჩინიანებიც და უჩინოებიც.

— მერე რაო?

— მერე ისა, რომ შენ კი აიღებ ისპოლნიტელნი ლისტსა და მიდიხარ, სახლში პირ-და-პირ შედიხარ, შეუპოვრად თავს ადგები და ეუბნები: მოიტა ამდენი და ამდენი, თორემ ბრაგას გაგადენ, მთელ ქონებას აგიწერო.

— ყეენობა კი არ იცი?

— კიდევ ყეენობა! რას ჩასციებიხარ?

— ჩასციებიხარ!? მოდი ნუ ჩააცივდები. ეს, ჩემო ძმაო, დემოკრატიაა; შენ რა იცი? ყეენი დემაგოგია, იცი რა არის დემოსი?

— ეჰ, ხელი აიღე თუ ღმერთი გწამს. რის დემოსი.

— რასაკვირველია, შენ რა განაღელება რომ ერთის მხრით პლუტოკრატია მოგადგება და მეორეს მხრით დემოკრატია.

— როგორ?

— როგორ და ასე. გადამეკიდა აის აყლაყუდა სოლომანა, ფულებს რომ ასარგებლებს; აის მოეახშე. დილა ადრიან მოსულა, დამდგომია ისპოლნიტელნი ლისტით, ერთი ხუთმეტიოდ მანათი ფუ-

ლია, უნდა გამამიროთო. ვეუბნები, კაცო, რა დროსია, დღეს ყეენობაა მეთქი. არ იქნება, დღესვე უნდა წაეიდეთო; გადამეკიდა, აღარ მამეშვა, წაეიდეთ, წაეიდეთო. გამიწყრა ღმერთი, წამოვყევი. მათრია, მათრია, გამოვიარე ეს მეიდანი, შეითან-ბაზარი, სეიდაბათი, ხარფუხი და კრწანისის თავში მიმიყვანა. შეყრილან კეტებით ხელში ბიჭები, დაუსვამთ ყეენი და გაჰვლელ გამომვლელს „ყეენის სალამს“ ართმევენ. მოგვეხვივნენ: „ალაჯან, ყეენი სალამი, ყეენი სალამიო,“ ავიღე ერთი უზალთუნი მივეცი. შექნეს ყვირილი „ააშენოს, ააშენოსო!“ სოლომანას ვეუბნები, სად მიგყევარ მეთქი? მობძანდიო. წამიყვანა და სწორედ ყეენთან არ მიმიყვანა: აი ამასა მართებს, გამოართვიო. შევხედე, ნეტავი კაცსა გაედეს. პირზე მური უსვია, თავზე შაქრის ქაღალდის წვეტიანი ქუდი ხურავს, გადმობრუნებული ტყაპუჭი აცვია და გოდორზე ზის ქანგიანის შამფურით ხელში; შამფურზედ ხახვისთავი აცვია. გამოჭიმულა და ყელი მოუღერებია. აი დაგექცეს ოჯახი სოლომან მეთქი, რა ჭირში ჩამაგდე. არ იქნება, მაშ რა პრისტავი ხარ, თუ არ გამომირთმევო. სულელობა მამივიდა, მიველი ყეენთან მოსარბილებლად გავუხუმრე: ეს უზალთუნი რომ წამართვი, ახლა ამ ლისტს უყურებ? ერთი ორად მეტი რო გამოგართო, რას იტყვი მეთქი? მითომ წარბი შეიხარა, ან ხმა გამცა თუ? შენც არ მამიკვდე. ხელჯოხიანს ბიჭებს ხმა ამოუღებლად ანიშნა, იქით წაიყვანეთო. დადგა ერთი ქრიამული. შემოგვეხვივნენ. წამო, წამო სოლომან, თორემ კეტებს ხედამ მეთქი? შენც დღე იპოვნე.

ანჩხისატისუბნელი.

## მოსწრებული სიტყვა

ფილოსოფოსი არისტიპი ერთხელ დიონისეს თავის მეგობრისათვის რაღასაცა სთხოვდა. გულ-მოდგინე თხოვნამ რომ ვერ გასჭრა, მერე ფეხებში ჩაუვარდა, ამ გვარის ქცევისათვის ვიღამაც უკიჟინა ფილოსოფოსს, მაგრამ იმან თავის გასამართლებლად ეს უთხრა:

— მე კი არა ვარ დამნაშ. ვე,—თვით დიონისია, რომელსაც ყურები ფეხებზედ გამოსხმია.

—

ერთი კაცი არისტიპეს შვილს აბარებდა სასწავლებლად. ფილოსოფოსმა 500 დრაქმა *) სთხოვა. მამამ უთხრა:

— მაგ ფასად ერთი მონის ყიდვა შემიძლიანო.

— იყიდე და ორი მონა გეყოლებაო, უპასუხა არისტიპმა.

ანტისთენმა სთქვა:—უმჯობესია კაცი ყვავის კლანჭებში მოხვდეს,ვიდრე პირმოთნეთა ხელშიო; ყვავები მკვდრებსა სჭამენ, ესენი კი ცოცხლებსაო.

—

როდესაც ანტისთენს ბოროტნი პირნი აქებდენ, მან სთქვა:—მეშინიან, ბოროტება ხომ არა ჩავიდინე-რაო.

—

ვინ არის მდიდარი?—ჰკითხეს სოკრატეს.—ის, ვინც ცოტას სჯერდებაო.

—

ხილონ ლაკედემონიელმა ყური მოჰკრა ერთი კაცის ლაპარაკს, რომელიც ამბობდა:—მე არცერთი მტერი არა მყავსო.

— მაშ მეგობარიც არ გეყოლებაო, მიუგო ფილოსოფოსმა.

ბაქოელ ქართველებისაგან გამოგზავნილ ფულიდან „ჯეჯილის“ რედიქციამ გარდა მოხსენებულის სამის სკოლისა. გაუგზავნა კიდევ შემდეგ შეიდ სკოლებს: თელავის მაზრაში აწყურის, კონდოლოს, შილდის, ფშაველის სკოლებს; სიღნაღის მაზრაში მაღაროს სკოლას, აგრეთვე კახისა ჱ კასპის სკოლებს.


საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# ჯეჯილი

წელიწადი მესამე

გამოვა 1893 წელსაც აგრეთვე ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემათიკო გამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან. ტფილისს გარეშე გზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში,—75 კაპ.


რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა

*) დრაქმა 20-25 კაპ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 13 Февраль 1893 г. სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა (Типог. Гр. Изд. Т—ва)